ქართული ბიბლიოთეკა

ქართველობის გადასარჩენად

# ილორი

№ 19 (88) 16 ივნისი 2009 სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ორგანო 50 თეთრი

3 როლანდ ჯალაღანია

# სეპარატიზმი



სეპარატიზმი არ მოდის ქუჯისაგან, გიორგი ჭყონდიდელისაგან, ცოტნე დადიანისაგან, ლავრენტი ბერიასაგან, მერაბ კოსტავასაგან, ზვიად გამსახურდიასაგან...

## მ ა ფ ა ლ უ 8

ყალბად შეთითხნილი "ადგილობრივი მეგრული სეპარატიზმი" და ე.წ. "მაფალუიზმი" პოლიტიკანებისთვის იმდენად ხელსაყრელი საფრთხობელა გამოდგა, რომ მას ყოველთვის უნარჩუნებდნენ ინერციის ძალას და სახმარ ღირებულებას



გიორგი ციციშვილი

მ ა ფ ა ლ უ

(დოკუმენტები და კომენტარები)

წიგნი I

(ალტერნატივა)

„მაფალუ" მეგრული ავტონომისტურ-სეპარატისტული ინიციატივა კი არა, არამედ სამეგრელოს მონაპოვარით ქართული ეროვნული კულტურის გამდიდრების მცდელობა იყო

## ხსოვნის სტრიქონები

ნაწყვეტებს მეგრულ ენაზე შექმნილი ისტორიული პოემიდან "ზულათია", რომლის ავტორი გახლავთ თავდადებული მამულიშვილი და ჭეშმარიტი პოეტი დანიელ კავლეს ძე ფიფია, გთავაზობთ გაზეთ "ილორში". 113-ე წელი ილევა პოეტის დაბადებიდან. იგი 28 წლის ასაკში შეიწირა პოლიტიკურმა უამინდობამ – სამშობლოს სიყვარულით გამსჭვალული გულანთებული პატრიოტი 1924 წლის თებერვალში დააპატიმრეს იმის გამო, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის დროს იყო ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის პასუხისმგებელი პროპაგანდისტი. დაპატიმრებისას დანიელ ფიფია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესამე კურსზე სწავლობდა.

## ლავრენტი ბერია — ქართული გენია 4





10

ინტერვიუ ბ-ნ ვილგენ ქადარიასთან

ისტორიული მასალები

სამეგრელოს სამამაყო შვილები 5

გიგლა ფირუხაძე
სპირიდონ კედია
შოთა მესხია

12 გაზეთი "ილორი" აქვეყნებს წერილების ციკლს, რომელიც ასახავს ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ბატალიებს.






9



6 ამის დაკარგვის, ან დავიწყების უფლება არც რუსსა აქვს და არც ქართველს!

ნაწყვეტები ვ.ველიჩკოს წიგნიდან "კავკასია"



11 ედუარდ შევარდნაძე ნიღბით და უნიღბოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა




# ჩვენი დღევანდელი ნომრის სტუმარია "ქუჩის გაზეთი" "შანსი"

**მეუ, წიე, ონჯღორე ვაიჩქუნო?**

ათეს გირაგადუქ მა, ვით სქუაშ
დო ეჩდოართ მოთაშ ბაბუ,
ოთხონეჩდოვით
წანერ **გუდუ ხაბურზანია** ოჩემჩირეშ
რაიონიშე. სორე ჩქინ დინაფილ
ოჩამჩირე, ტურეფ ყურანა, ჩქინ
ეკოჩარგაზელ ორტვინეფს,
ეკორთინაფილ მაღაზეფ დო
ფაცხეფ, ეკოპარტახელ ყუდეეფ
მორიალეეფით დო ბორბოლიეფით
რე ეფშა! ვავა ჩქინ ცოდა!
ართ ბორკმოღულა კაჭა რინტუ
მპუნდუ, ირო ორინტინანდუ
დო თინა ხოლო მხედრიონელეფქ
დომიყვილეს დო ომიჭკუმეს,
მუთ მიღუდუნ, ფია-ფიათ ეკიღეს,
სქან მარდუალ ედუარდიშ
ჯიმაკათაქ. მიმოდინეთ,
მიმოდინეთ! მუთუნშა
ვაიჩქუნა ონჯღორე!
მა მაულალ ვორექ თი ქიანას
დო მიდულ კოჩანიერო, მარა,
თქვა მუ გოხვარუნა, თქვა
ცოდეფ, სო იღანთ თესხე ცოდას.
მეუ წიე, წიე მეუ!
ონჯღორე ვაიჩქუნო!

**წადი, ბიჭო, არა გრცხვენია?**

ამას გეუბნები მე, ათი
შვილისა და ოცდაერთი
შვილისშვილის ბაბუა
ოთხმოცდაათი წლის **გუდუ**
**ხაბურზანია** ოჩამჩირის
რაიონიდან, სად არის
ჩვენი დაკარგული
ოჩამჩირე, ტურები ყმუიან,
ჩვენი გაჩაჩანაკებული
ბოსტნები, წაქცეული ფაცხები
და ნალიები, გაპარტახებული
სახლები მორიელებით და
ობობებით არის სავსე, ვაი
ჩვენი ცოდვა! ერთი
ფეხმოღუნული კოჭლი თხა
მყავდა და ისიც მხედრი-
ონელებმა წამართვეს, შენი
გამზრდელი ედუარდის
ძმაკაცებმა. დამღუპეთ,
არაფრის არ გრცხვენიათ. მე
წამსვლელი ვარ იმქვეყნად და
კაცურად წავალ, მაგრამ თქვენ
რა გეშველებათ, თქვე
საცოდავებო, სად წაიღებთ
ამდენ ცოდვას. წადი, ბიჭო, წადი,
არ გრცხვენია?

**ვო, მიშა!**

ღორონთიშ მორწმუნე ოსურ
ვორექ ილორიშე, ირდღას
ილორს სანთელს ვორძანდი,
ჩქიმ ქიანაშენ იფხვამანდი,
სორე ასე ჩქიმი ილორი, ვარა
სორე ჩქინ ქიანა უჩა დღაში
გორჩქინელი, მუშენ გოკო ჩქინი
ეკოდინაფა, მის ოკო
ეკვოდინათ, მიდგარენ
უღორონთეებსო? ვავა, ვავა
ჩქინიშენი! დიდა მარგალ ნორკვე,
ოდო თი ხვამილ ოსურს
ვეშულებუნო ჭკუა
ქუდგოგურუას დო ქოიწუას,
სქანიანეფს თაშ ვემექცუავა.
ოხვამეშა მეუ დო ღორონთის
ქოთხი ქიგაპატუას.

**ვო, მიშა**

ღმერთის მორწმუნე ქალი ვარ
ილორიდან. ყოველდღე
ილორში სანთელს ვანთებდი
და ჩემს ქვეყანაზე ვლოცუ-
ლობდი. სად არის ახლა ჩვენი
ილორი, ან სად არის შავ
დღეს გაჩენილი ჩვენი ქვეყანა.
ვიღაც ულმერთოების გამო
უნდა დავიღუპოთ? ვაი ჩვენს
გაჩენის დღეს! დედა მეგრელი
გყოლია. ჰოდა, იმ დალოცვილ
ქალბატონს არ შეუძლია ჭკუა
დაგარიგოს და გითხრას,
შენიანებს ასე ნუ მოექცევიო,
სალოცავში წადი და ღმერთს
პატიება სთხოვე.

**ნათელა ინჯია, პედაგოგი**

**თაშ ვეშილებე!**

მიშა, სქუაცალო ქორთხინქ,
გობაღ ჩქინ სახელით სპეკუ-
ლანტობა, ვაგოკო წიე! ჩქი
ხოლო ქორთუეფ ვორეთ დო
მიყორა საქორთუო. ჯვეშიშ
ნარაგადი მიჩქუ: მართალ
ქორთუ თინა რენია, მისიც
საქორთუოშ არძო კუნთხუ
ართნერო უყორსია... მუ ჯგირო
უთქუალ თი ღორონთიშ
კოჩის... თაშ ვეშილებე, მიშა
პატონი, გვალო კუჩხის გილგო-
ბულას ქიანა დი კათა... სო
გილაფურინუნქ, მეფურინუნქ დო
მოფურინუნქ, ოფურინალო
გიღუნო საქმე, სი მართალო
ფურინაფილი!

**ასე არ შეიძლება!**

მიშა, როგორც შვილს, ისე
გთხოვ, გეყოფა ჩვენი სახელით
სპეკულანტობა. არ გინდა,
ბიჭო! ჩვენც ქართველები ვართ
და გვიყვარს საქართველო.
წინაპრების ნათქვამი ვიცი:
ნამდვილი ქართველი ის არის,
ვისაც საქართველოს ყველა
კუთხე ერთნაირად უყვარსო.
რა კარგად უთქვამს იმ
ღმერთკაცს... ასე არ შეიძლება,
ბატონო მიშა, სულ ფეხებზე
რომ გეკიდოს ქვეყანა და
ხალხი... სად დაფრინავ,
მიფრინავ და მოფრინავ,
საფრენად გაქვს საქმე, შე
მართლა გაფრენილო?

**ბაჯგა წურწუმია (პენსიონერი)**
**ჩხოროწყუ**

**ვავა, მიშა!**

ვავა მიშა, სქანი ცოდა,
მუჭო გვალო დოღურია.
გასტუკიში მარყინტალქი
გიჭუჭოლე ბუძგურია.
ქიდომინტეთ თე ქიანა,
ღორონთიში ხანტურია,
უღორონთო მუშენი რექ,
მუშენ გიღუ კანტუზია!
ბოროცალო ოლიქინანქ,
დუს გიგოხე დიდ ტუზია.
ათე ამბეს გირაგადნა
**ჩქვაფაშ ბოში ხარბუზია,**
**კოლია, ხუტა დომენტია**
**დო კლიმენტი ჭანტურია.**
(წალენჯიხელები, რომლებმაც
შენ ხმა მოგცეს),
ვავა, ვავა ჩქინი ცოდა,
ბოროია მარგალეფი.
მიშა ხანგას ეკვაუნით,
მუნდის მიღუდეს თოლეფი.

**ვაი, მიშა!**

ვაი, მიშა, შენი ცოდვა,
მთლად როგორ მოკვდი!
ჰალსტუკის მყლაპველს ბურძგლი
გაერია. დაგვიტოვე ღმერთის
დახატული ქვეყანა!
რად ხარ ულმერთო და კანტუზიანი,
დებილივით რომ იბღვირები და
შუბლზე ტუზი რომ გახატია.
ამ ამბავს გეუბნებიან **ჩქვაფას**
**ბიჭი ხარბუზია, კოლია, ხუტა,**
**დომენტი და კლიმენტი ჭანტურია.**
ვაი-ვაი ჩვენი შტერი მეგრელების
ცოდვა, ვინ გიჟს გამოვყევით,
სად გვქონდა თვალები.

## ჩვენ ძმებს, მეგრელებს!

მისასალმებელია, რომ ყოველ წელს ხობში ტარდება მეგრული სიმღერების ფესტივალი. დიდებულია, ღვთიურია მეგრული სიმღერა, ჰარმონიული, მთელი სული და გული რომ არის ჩაქსოვილი, ღვთიურია თქვენი ფანდური და ჩონგური, თქვენი ოდაბადე, ერეხელი, ოდოია და ჩელა. ვინ წარმოიდგენდა, მეგრულ სიმღერებს იაპონელები და ზანგები რომ იმღერებდნენ...

ეს ძალიან კარგია, მაგრამ უფრო კარგი იქნებოდა, რომ მეგრელ სპონსორებს, რომლებიც ამ ფესტივალებში ქველმოქმედების სახით დიდ ფულს ხარჯავენ, ყველამ ერთად ვუთხრათ და ვსთხოვოთ: გადაიღონ ფილმი ცოტნე დადიანზე... სცენარი რამდენი ხანია მზად არის და პროდიუსერს ელოდება.

ვააა, კაცოო! ეს ეროვნული საქმეც სხვამ უნდა გააკეთოს?!

მიწა ყივის, სისხლი ყივის, ძმებო!

**დიმიტრი მოსულიშვილი (ლოტბარი, დედოფლისწყაროს რაიონი, სოფელი ოზაანი)**

## სო რექი სი სოროსი? სონი რექი მასონი?

სოროსელებო და მასონელებო, რას გვერჩით ჩვენ, მეგრელებს?

რატომ მოგვჭერით თავი საქვეყნოდ? მეგრული სახელები რომ დაირქვით, არ გრცხვენიათ თქვენ?

რას ნიშნავს, თუ იცით, სიტყვა **"სოროსი"** მეგრულად? სო? – სად? ე.ი. სად ხარო. მეგრელის მეტი სხვა ვინ გაიგებს ამ სიტყვის მნიშვნელობას? თქვენ თვითონ არ იცით, სად ხართ, რომელმა ეშმაკმა გადმოგაგდოთ. **"მასონი"** რას ნიშნავს? რას ნიშნავს და – **"მე სადაური ვარო"** (მა სონი ვორექია). ე.ი. არც ის იცით, სადაურები ხართ, ვინ მოგათრიათ? ან ვინ მოათრიეთ? საიდან მოდიხართ და საით მიდიხართ? **"სოროსი"** და **"მასონი"** ერთნაირი მნიშვნელობის სიტყვებია! რაღა მაინც და მაინც მეგრულად იკითხება?

რა გინდათ ჩვენგან, გაგვანებეთ თავი!

ჩვენი გაჭირვება არ გვეყოფა გასოროსებული და გამასონებული პრეზიდენტი რომ გვყავს?

**არისტო ხუფაცარია, მამანტი პაჭკორია, ჯვებე ძაძუა (გალის რაიონი)**

**გიჟი ქალაქს მიდიოდა**

გიჟი ქალაქს მიდიოდა...
ტანით-ბრგეს და ჭკუით-ქონდარს,
ვერ ხვდებოდა შინ პატრონი,
რა მიჰქონდა, რა მოჰქონდა...
განა შიგადაშიგ გიჟი,
ხანდახან და ალაგ-ალაგ!
კააააი ჯილა, სტაბილური
გიჟი მიდიოდა ქალაქს.
ეს სარითმო წყვილი მომწონს:
"მიდიოდა" – "დიდი ოდა".
არაფრისთვის... ისე... ხოშზე,
გიჟი ქალაქს მიდიოდა.
ხან – კიევი, ხან – დავოსი,
ხან რომი და ხან – პარიჟი;
რა მიჰქონდა... რა მოჰქონდა...
მიდიოდა ქალაქს გიჟი.
მალავს, თორემ სხვასაც კი ჰყავს
თითოცა და შვიდიოდეც.
რა ძნელია, შენი გიჟი
სულ სადღაცას მიდიოდეს.
ფრთხილად, გიჟის პატრონებო
იქნებ იგიჟიანებს!
ისე არ ჰქნათ, ეს ქვეყანა
თავს დაგამხოთ ჭკვიანებს.
სულ რაღაცა იკარგება
ბითუმად და საცალოდ;
ისე არ ქნათ, ეზო-კარიც
ფეხქვეშ გამოგაცალოთ.
ერთი კარგად გამოჰკითხე,
როცა დაიმარტოვო,
ემანდ, რამე არ მიჰქონდეს!
ფრთხილად, გიჟის პატრონო!
მალავს, თორემ სხვასაც კი ჰყავს
თითოცა და შვიდიოდეც...
რა ძნელია, გყავდეს გიჟი...
რა ძნელია, მიდიოდეს...

**ელა გოჩიაშვილი**

"პროდასავლური ორიენტაციის" შედეგია, აგრეთვე, ტოტალური იმიტაცია, დასავლური კულტურული ნიმუშებისადმი მიბაძვა, რაც ქართული ეროვნული კულტურის, ტრადიციების, ქცევის ნორმების, მორალისა და ზნეობის განდევნის ხარჯზე ხდება. მთელი პროპაგანდა მიმართულია წარსულის უგულვებელყოფაზე, წინა თაობისა და მათი მოღვაწეობის დაცინვაზე. ტელევიზია, საშინელი არაპროფესიონალიზმის, ღრმა პროვინციალიზმის, დასავლური მასობრივი კულტურის უარესი ნიმუშებისადმი სასაცილო და ამაზრზენი მიბაძვის გარდა, უბრალოდ რყვნის ახალგაზრდობას, ღუპავს ეროვნული ზნეობის პოტენციალს...

ალექსანდრე ჭაჭია, 1997 წლის ივნისი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სეპარატიზმი

უცხო სიტყვათა ლექსიკონში განმარტებულია, რომ **"სეპარატიზმი"** ნიშნავს სწრაფვას გამოყოფისაკენ, განცალკევებისაკენ, ხოლო **"სეპარატორი"** განმაცალკევებელია, რომელიც ერთი ნივთიერებისაგან მეორეს (მაგალითად, რძისაგან ნაღებს) გამოყოფს. მაგრამ, ამ წერილში, ჩვენ, ამ სიტყვის მხოლოდ პოლიტიკურ მნიშვნელობაზე გვექნება საუბარი, რადგან დღეს, საქართველოში, მას შემდეგ რაც აფხაზეთი დაიკარგა, სიტყვა **"სეპარატიზმი"** ასოცირდება მხოლოდ ერთ მცნებასთან: "მეგრული სეპარატიზმი".

მახსენდება ერთი საინტერესო დიალოგი, რომელიც გუდაუთის რაიკომის პირველ მდივანს კონსტანტინე ოზგანსა და **"საქსოფლტექნიკის"** ზუგდიდის ავტოსათადარიგო ნაწილების ბაზის დირექტორს შორის გაიმართა მეოცე საუკუნის სამოცდაათიან წლებში. ოზგანი მაშინ ტრაქტორების სათადარიგო ნაწილების შესაძენად ჩავიდა ზუგდიდიში.

– არ გირჩევნია, თბილისში რომ ჩახვიდე სათადარიგო ნაწილების შესაძენად. იქ ხომ საქონელი ბევრად უფრო იაფია, ვიდრე ჩვენთან, – უთხრა სტუმარს ზუგდიდელმა.

– არა, მირჩევნია თქვენთან ძვირად ვიყიდო, ვიდრე თბილისში იაფად! – მიუგო ოზგანმა.

– რატომ? – გაუკვირდა ზუგდიდელს.

– იმიტომ, რომ თბილისში ჩასვლისთანავე, იქაურები იმის მტკიცებას მიწყებენ, რომ აფხაზები ქართველები არიანო. თქვენ კი იქით უმტკიცებთ მათ, რომ ქართველები ვართო, ისინი კი გეუბნებიან: არა, თქვენ ქართველები კი არა, მეგრელები ხართო!

სამწუხარო ჭეშმარიტებაა, რაც კიდევ ერთხელ მიანიშნებს იმაზე, რომ სეპარატიზმი თბილისში იღებს სათავეს, და არა სამეგრელოში...

მტკიცებულება? მოდით, ცოტაოდენ წარსულსაც გადავხედოთ.

ერთიანი საქართველო იწყება მას შემდეგ, რაც ქუჯიმ ეგრისი შემოუერთა იბერიას და გაერთიანებული სამეფო ტახტი მასზე ბევრად ახალგაზრდა ფარნავაზს დაუთმო. და ეს მაშინ, როცა ეგრისი დიდი ისტორიული წარსულის მქონე ცალკე სახელმწიფო გახლდათ, ტერიტორიითაც და მცხოვრებთა რაოდენობითა ბევრად მეტი, ვიდრე აღმოსავლეთ საქარველო, მაგრამ იმდენად დიდი იყო საქართველოს გაერთიანების სურვილი, რომ ქუჯიმ უარი თქვა სამეფო ინსიგნიებზე და მასზე ბევრად ახალგაზრდა ფარნავაზს დაუთმო ტახტი.

რა არის ეს? **"მეგრული სეპარატიზმი"?**

მას შემდეგ საქართველოში ყოველთვის მძლავრობდა სეპარატიზმი, რადგან დიდი კონსტანტინე გამსახურდიასი არ იყოს, ყოველ ქართველში მეფე იყო ჩაბუდებული და ყოველ მდაბიო ნაძირალას აღზევება ეწადა. მაშინაც კი, როცა საქართველო რამდენიმე სამეფოდ იყო დაგლეჯილი, სამეგრელოს არ უღალატნია ქუჯის მიერ ფარნავაზისათვის მიცემული ფიცისათვის, და სამეგრელო არასოდეს დაფიქსირებულა ცალკე სამეფოდ – იგი ყოველთვის სამთავროდ რჩებოდა, შუა საუკუნეების 400-წლიანი დამოუკიდებლობის დროსაც კი...

რა არის ეს? **"მეგრული სეპარატიზმი"?**

სეპარატიზმი მხოლოდ ეთნიკური ნიშნით არ მძლავრობს. ერის დაშლა არ შეიძლება მისი ისტორიული წარსულის, მდიდარი ტრადიციების, სულიერი ფასეულობების განადგურებისა და ზნეობრივი ნორმების გათახსირების გარეშე. მეგრელები ყოველთვის ისეთი რუდუნებით უვლიდნენ ქართულ სულიერ და რელიგიურ ღირებულებებს, რომ იქ, მიუხედავად ოსმალთა მრავალსაუკუნოვანი ბატონობისა, საცხოვრებლად ვერც ოსმალომ, ვერც სპარსელმა და ვერც სომეხმა ვერ მოიკიდა ფეხი, მაშინ, როცა აღმოსავლეთ ქალაქების მცხოვრებთა დიდ ნაწილს სწორედ ოსმალები, სპარსელები და სომხები შეადგენდნენ და, აქედან გამომდინარე, აქ სულ უფრო და უფრო იკიდებდა ფეხს ცხოვრების აღმოსავლური წესი **"კინტოების", "ყარაჩოხელებისა"** სხვა ქართული სულიერებისათვის უცხო ფენომენის სახით. ამის აშკარა დასტური გახლავთ თბილისში გავრცელებული სიმღერა **"პატარა ბიჭი დამეკარგა, ცისფერპერანგა"** (და არა: **"პატარა გოგო დამეკარგა...",** როგორც ამას ქალაქური აღმოსავლური ბოჰემის თაყვანისმცემლები მღერიან). ეს კი, თავისთავად, მიუთითებდა ბარბაროსული აღმოსავლეთიდან შემოთესლილ უზნეობასა და **"აღმოსავლურ"** ჰომოსექსუალურ ორიენტაციაზე, რაც, რა თქმა უნდა, მიუღებელი იყო ოდითგან მაღალცივილიზებული კოლხებისათვს, და რაც ლიხსიქითა და ლიხსაქეთა ქართველთა გაუცხოებას იწვევდა. იცოდნენ რა ამის თაობაზე აღმოსავლური **"ჰარემულ-ბიჭთმოყვარული"** გულისამრევი ფენომენის მოტრფიალეებმა, ისინი ყოველნაირად ცდილობდნენ ქართველი კაცის გონებიდან მათი საძრახისი საქმიანობისადმი იმ მეგრულ-იმერული ზიზღისმიერი დამოკიდებულების ამოშლას, რითაც მრავალტანჯული საქართველო ჯერ კიდევ ინარჩუნებდა **"საქართველოობას".** სწორედ აქ იღებს სათავეს აღმოსავლეთში უგვანოთა მიერ გავრცელებული სარკასტული გამონათქვამები: **"იმერელი კიკინა", "ღომიჭამია მეგრელები"** და სხვა.

რა არის ეს? **"მეგრული სეპარატიზმი"?**

როცა ვსაუბრობთ **"აფხაზურ სეპარატიზმზე",** აქაც მცირე ექსკურსი უნდა მოვაწყოთ წარსულში და შევეხოთ მეგრულ-აფხაზურ ურთიერთობებს. სამწუხარო ფაქტი იყო ის, რომ არც შევარდნაძისა და არც მის მიერვე **"ვარდების რევოლუციით"** მოყვანილი ხელისუფლება ჯეროვან ყურადღებას არ უთმობდა და უგულვეყოფდა კიდეც სახალხო დიპლომატიას. საქართველოს მმართველი წრეები არ იყენებდნენ საუკუნეთა განმავლობაში დამკვიდრებულ ნათესავ-მეგობრულ დამოკიდებულებას აფხაზებსა და მეგრელებს შორის. ის ცნობაც უტყუარია, რომ აფხაზები ოჯახის შვილს ცოლად არ გაატანდნენ იმ აფხაზს, ვინც მეგრული ენა არ იცოდა. კონფლიქტის შემდეგაც არ შეუწყვეტიათ ერთმანეთთან მიმოსვლა აფხაზებსა და მეგრელებს, განსაკუთრებით ქორწილისა და გლოვის დღეებში. ისინი ავტომანქანებს დაახვედრებდნენ ხოლმე ენგურის ხიდთან ერთმანეთს და სტუმრებისათვის სათანადო დაცვასაც უზრუნველყოფდნენ, რათა რაიმე პროვოკაციას არ ჰქონოდა ადგილი. თქვენ წარმოიდგინეთ, 2008 წლის საომარმა ქმედებებმაც კი ვერ მოშალა საბოლოოდ ეს ტრადიცია.

ერთხელ, თავად ვიყავი იმის მოწმე, თუ აგვისტოს მოვლენებამდე ორი თვით ადრე, როგორ შემოიყვანა ზუგდიდის ერთ-ერთ პროფილაქტიკაში თავისი მანქანა ოჩამჩირელმა აფხაზმა.

– იგი მუდამ ჩემთან დაიარება მანქანის შესაკეთებლად, – გვითხრა ავტომექანიკოსმა,– რითაც შემიძლია ხელს ვუმართავ და დავმეგობრდით, მუდამ ოჩამჩირეში მეპატიჟება – თქვენი კუთხეა და ნუ მოსწყდებითო. მაგრამ ერთი რამ ვერ გამიგია. ამას წინათ **შსს**-ს თანამშრომლები მოვიდნენ ჩემთან და გამაფრთხილეს, მაგ აფხაზს ასეთი გულისყურით ნუ ეპყრობი, თორემ უსიამოვნებაში გაეხვევიო. ვერ გამიგია, ნუთუ არ სურს საქართველოს ხელისუფლებას, რომ ჩვენს შორის ძველი ურთიერთობები აღსდგეს...

არ სურთ, ჩემო მეგობარო ავტომექანიკოსო, იმიტომ არ სურთ, რომ შევარდნაძემ აფხაზეთი საკუთარ სკამში გაუცვალა ელცინს, რომელმაც ეს სიმახინჯე კიდევ 11 წლით ჩამოასვა ქართველებს თავზე, შევარდნაძის მიერ მოყვანილმა არაქართველმა სააკაშვილმა კი ჩვენი საუკუნეთა განმავლობაში ნაფერებ-ნალოლიავები აფხაზეთი **"დე იურედ"** გადასცა რუსეთს და თავისი სომეხი წინაპრების აუხდენელი ოცნება აქცია რეალობად, რადგან დღეს იქ აფხაზებზე მეტი სომეხი ცხოვრობს.

რა არის ეს? **"მეგრული სეპარატიზმი"?**

როცა სისხლით მოსულმა შევარდნაძემ თავისი სკამის საფასურად აფხაზეთი ელცინის რუსეთს **"უფეშქაშა",** თავისი ბანდები კი სამეგრელოს შეუსია საძარცვად, ქვეყნის კანონიერი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია მაშინ დევნილობაში იმყოფებოდა და სამეგრელოს ტყეებს აფარებდა თავს. ყველას გახსოვთ, თუ როგორი აღმაფრენით ხვდებოდა მას "მხედრიონის" გაუთავებელი **"ჯალალედინისებური"** შემოსევებით გატანჯული ხალხი დასავლეთ საქართველოში. თვით შევარდნაძის მშობლიურ ლანჩხუთის რაიონშიც კი ათიათასობით ადამიანი მივიდა ზვიადთან შესახვედრად, რომლებიც ჯერ კიდევ იმედოვნებდნენ საქართველოს გამთლიანებას. მაშინ, ზვიადს ერთი სიტყვაც რომ დასცდენოდა ბანდიტებით გაწამებული დასავლეთ საქართველოს მოსახლეობისათვის აღმოსავლეთ საქართველოსაგან მათი კუთხის გამოცალკევების თაობაზე, და ქუთაისში, ან ზუგდიდში რომ მოეთხოვა დასავლეთ საქართველოს სამთავრობო რეზიდენციის დაარსება, როგორ ფიქრობთ, მას ხალხი მხარს არ დაუჭერდა? ამით ხომ იმპერიალისტური ძალების მრავალსაუკუნოვანი ოცნებაც ახდებოდა და ვერც შევარდნაძის უდღეური ბანდიტები აღუდგებოდნენ წინ მის რეალიზებას. თანაც, ზვიადი, საკუთარ სიცოცხლეს და თუნდაც ნახევარ საქართველოს მაინც გადაარჩენდა! მაგრამ, ტყეში ხეტიალით გატანჯულ ამ დიდსულოვან ადამიანს, რომელიც საკუთარმა გარემოცვამაც კი მოღალატურად მიატოვა (რომლებსაც, ამ ღალატის სანაცვლოდ, დღესაც მაღალი თანამდებობები უკავიათ სააკაშვილის ხელისუფლებაში) და უკვე სიკვდილის სუნთქვას გრძნობდა, მარტოდ ყოფნის დროსაც კი არ გაუვლია თავში ეს მკრეხელური აზრი და ისე აღესრულა შევარდნაძის მიერ მიგზავნილი მკვლელების ხელით, რომ საქართველოს გამთლიანებაზე ფიქრს არასოდეს მიუტოვებია.

რა არის ეს? **"მეგრული სეპარატიზმი"?**

როცა აფხაზეთი დაიკარგა და აღმოსავლეთ საქართველოს სოფლებიც მეგრელი ლტოლვილებით გაივსო, ჩემი ყურითა მაქვს მოსმენილი, თუ აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთი სოფლის მცხოვრებმა როგორ უთხრა თავის მეზობელს, მათ ნაცნობ ლტოლვილ მეგრელ ბიჭზე: **"დიდებული ვაჟკაცია, უღალატო, სულით მტკიცე, მაგრამ მაინც ჩვენი მტრის ჯიშისა ყოფილაო".**

რა არის ეს? **"მეგრული სეპარატიზმი"?**

შევარდაძისაგან დაგეშილ-გაწაფული პოლიტიკური მაროდიორები წლების განმავლობაში სეპარატისტად მოიხსენიებდნენ ცნობილ ქართველ პოლიტოლოგ **ალექსანდრე ჭაჭიას** იმის გამო, რომ მან გაბედა ბანდიტთა გაუთავებელი თავდასხმებისაგან გაწამებული სამეგრელოს მოსახლეობის დაცვა. მათმა გაცოფებამ ყოველგვარ ზღვარს გადასცდა მაშინ, როცა ჭაჭიას ინიციატივით ჩამოყალიბდა **"საქართველოს ერთიანობისა და მთლიანობის სახალო მოძრაობა "სამეგრელო".** დააკვირდით – **"საქართველოს ერთიანობის და მთლიანობის"**, და არა მისი დაშლა-დანაკუწების, როგორც ამას გუშინ აკეთებდა შევარდნაძე, დღეს აკეთებს სააკაშვილი და ამაში, არც გუშინ და არც დღეს მათთვის ხელი არ შეუშლია ოპოზიციას. თანაც, ჭაჭიამ, ჯერ კიდევ ცხრა წლის წინ შეიმუშავა მაღალი პოლიტიკური და ეკონომიკური ღირებულების მქონე დოკუმენტი – **"საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების სტრატეგია და ეროვნული იდეა",** რომლის ხორცშესხმა მოკლე ხანში გადააქცევდა საქართველოს ერთიან და მთლიან ძლიერ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. მაგრამ, არც ხელისუფლებასა და არც ოპოზიციას თავი არ შეუწუხებია მის გასაცნობათაც კი, რადგან მათ სჭირდებათ არა ძლიერი და კანონმორჩილი ქვეყანა, არამედ ის **"კვაზისახელმწიფო",** სადაც თავის ჭკუაზე ინავარდებენ და პირად სიმდიდრეს დააგროვებენ. საამისოდ მათ ის ორი-სამი რაიონიც ეყოფათ, რომელიც მალე შეიძლება საქართველოსაგან დარჩეს, ვიდრე ქართველი ერი დროზე არ მოეგება გონს და სახელმწიფოს მართვა-გამგეობის სადავეებს არ გააბარებინებს იმ პოლიტიკური ძალებისათვის, ვისაც ქვეყნის გაძღოლა ძალუძთ.

რა არის ეს? **"მეგრული სეპარატიზმი"?**

და კიდევ ერთი საბედისწერო დამთხვევის შესახებ, რაც, ზემოდაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება სრულიადაც არ იყო **"დამთხვევა"**.

მეგრულ ენაზე მეგრელის სახელწოდებაა **"მარგალი",** რაც ამავე ენაზე მრგველს, ესე იგი მშრომელ, სიკეთის მომტან ადამიანს ნიშნავს.

ქართველს კი მეგრულ ენაზე ეწოდება **"ქორთუ" ("გორთუ"** – გაჰყო), სიტყვა **"რთუნს"** კი ნიშნავს იმ ადამიანის ქმედებებს, ვინც ყოფს და ერთმანეთისაგან აცალკევებს ერთ მუშტად შეკრულ მთლიანს.

პოზიციათა საბედისწერო აღმნიშვნელი ხომ არ არის ეს ორი სიტყვა?

პასუხი მეცნიერებისათვის მიგვინდვია!

ჩვენ კი გეუბნებით, თქვენ: სააკაშვილებო, თარგამაძეებო, რამიშვილებო, თუთბერიძეებო, ბოკერიებო და მათ აყოლილებო, ვისაც არ გიყვართ საქართველო და მხოლოდ იმიტომ ებრძვით სამეგრელოს, რომ დღეს იქ ყველაზე მეტად მძლავრობს ქართული სული: მრუდე სარკეში რომ ჩაიხედავთ და სიმახინჯეს დაინახავთ, სხვა არ გეგონოთ – ეს თქვენა ხართ, საქართველოს სარკე რომ გაამრუდეთ და ახლა **შიგ იჭყიტებით. სეპარატიზმი არ მოდის ქუჯისაგან, გიორგი ჭყონდიდელისაგან, ცოტნე დადიანისაგან, ლავრენტი ბერიასაგან, მერაბ კოსტავასაგან, ზვიად გამსახურდიასაგან...**

**"სეპარატიზმი"** ის ვერაგული იარაღია, რომელსაც თქვენ, თქვენივე უკანონობით აღშფოთებული ხალხის დასათრგუნად და ყურადღების გასაფანტად იყენებთ და რითაც მეთოდურად შლით და ანგრევთ საქართველოს როგორც ტერიტორიულად, ასევე რელიგიურად, სულიერად, ზნეობრივად, ეკონომიკურად...

**სეპარატიზმის სინდრომი მხცენტრიდან მოდის, სადაც სომხური, თურქული და ქურთული საუბარი დედის ნანასავით ჩაესმით ყურში, მეგრული სიტყვის გაგონებისთანავე კი იმრიზებიან, და ამიტომ, გიჯობთ საკუთარ თავს მიხედოთ!**

რას იზამთ, სიმართლე მწარეა, მაგრამ იგი ერთადერთია, როგორც ორ წერტილს შორის გავლებული უმოკლესი ხაზი!

**როლანდ ჯალაღანია**

ილორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლავრენტი ბერია — ქართული გენია

*სერგეი კრემლიოვი*

## ბერია — XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი



მაგრამ, მოდით კვლავ ბუნკერს დავუბრუნდეთ და ბერიას წერილი კითხვა განვაგრძოთ:

**"...სავსებით სამართლიანია... კრიტიკა... რომელიც გამოითქვა ცეკას პრეზიდიუმზე. არ უნდა დამეგზავნა შინაგან საქმეთა სამინისტროს მოხსენებითი ბარათები, რაც, გარკვეულწილად ჩრდილს აყენებდა ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებს... ჩემის მხრიდან, ეს გახლდათ სისულელე და პოლიტიკური შეცდომა, მით უმეტეს, როცა მე მირჩევდნენ, რომ ეს არ გამეკეთებინა. მე ხშირად არ ვიქცეოდი კარგად ცეკას და მინისტრთა საბჭოს სხდომებზე, სადაც ვქმნიდი დაძაბულ სიტუაციას. მე ეს უკვე სრულად გავიაზრე. მე ხშირად უხეში ვიყავი ნიკიტა ხრუშჩოვისა და ბულგანინის მიმართაც, განსაკუთრებით "გერმანული" საკითხის განხილვისას... რა თქმა უნდა, მე დამნაშავე ვარ და სასჯელსაც ვიმსახურებ..."**

აქ კი რაღაც-რაღაცეების ახსნაა საჭირო... დღეს ჩვენთვის ძნელი წარმოსადგენია, თუ რას ნიშნავს პარტიული წმენდა. როცა ჩვენ პიჯაკს ვაბარებთ ქიმწმენდაში, ცუდი არაფერი გვაქვს წარმოდგენილი — უბრალოდ, გვსურს, რომ უფრო სუფთა პიჯაკი გვეცვას.

ასე რომ, პარტიული წმენდის მიზანი გახლდათ არა მხოლოდ პარტიის წევრთა გაჯოხვა ან განადგურება, არამედ, ერთის მხრივ, პარტიის რიგების **"გაწმენდა"** მას **"მიტმასნილებისაგან"**, მეორეს მხრივ კი, პარტიის საიმედო წევრთა განწმენდა და თვითგანწმენდა.

როცა ქრისტიანი აღსარებაზე მიდის და მღვდელს საკუთარი შეცოდებების თაობაზე საიდუმლოდ მოუთხრობს, მას ხომ მხოლოდ ცოდვებისაგან თავის დახსნა არ სურს. ამ აღსარებით იგი სულის სიმსუბუქეს გრძნობს. ბოლშევიკები კი წმენდისას თვითკრიტიკას მიმართავდნენ სახალხოდ, პარტიული ამხანაგების წინაშე. სიმართლეს თუ ვიტყვით, ეს იყო თვითაღზრდისა და საკუთარი თავის სრულყოფის მძლავრი იარაღი.

ჯერ კიდევ ანტონ ჩეხოვი გვირჩევდა, რომ ყოველდღიურად, წვეთ-წვეთ გამოგვეწურა საკუთარი თავიდან მონა. მძლავრ კომუნისტური კოლექტივში კი წმენდისას ადამიანებისაგან არა თუ წვეთ-წვეთად, არამედ ღელეებად გამოედინებოდა ყოველგვარი სისაძაგლე.

დროთა განმავლობაში ძველ პარტიელებს შორის ეს მეთოდი ავტომატურად მიმდინარეობდა — მით უმეტეს, თუ ისინი თანაპარტიელების კრიტიკის ქარცეცხლში გაეხვეოდნენ ხოლმე. მათ არ სწყინდათ კრიტიკა, როგორც ეს ამჟამად ხდება ხოლმე, არ ბრაზობდნენ და უპირველესად საკუთარ თავს ეკითხებოდნენ, თუ როგორ დაუშვეს ესა თუ ის შეცდომა. თუ, რა თქმა უნდა, ისინი იყვნენ ბოლშევიკები, პარტიელები, და არა **"პარტიის წევრები"**.

ბერია კი პარტიელი იყო! ესე იგი ადამიანი, რომელიც ცხოვრობდა მასზე მინდობილი საქმით და არ ცდილობდა ამ საქმიდან რაც შეიძლება მეტი სარგებლის მიღებას. მისი წერილი აშკარად შეიცავდა თვითგანწმენდის ელემენტებს, რასაც შექმნილი სიტუაცია მოითხოვდა მისგან. იგი გულწრფელად ინანიებს დანაშაულს, მაგრამ თავს არ იმცირებს ცეკას ხელმძღვანელობის წინაშე.

გულწრფელად... თუმცა თანამედროვე ადამიანს, ყოველივე ეს, შეიძლება მოეჩვენოს სულმდაბლობად და მოჩვენებით აღიარებად.

მაგრამ ეს არ იყო სულმდაბლობა!

**რაც შეეხება "გერმანიის, კორეის, თურქეთის და ირანის საკითხს, ჩერჩილისა და ეიზენჰაუერისადმი მიწერილ პასუხს, უნგრელ ამხანაგთა საკითხს", და სხვა "საკითხებს",** რომელთა განხილვასაც ჩვენ მოგვიანებით შევუდგებით, უნდა აღვნიშნოთ, რომ ბერიას საგარეო პოლიტიკური ხედვა უაღრესად საინტერესო და რეალისტური იყო.

გავაგრძელოთ წაკითხვა...

**"წინადადება იმრე ნადის თაობაზე, იგი მე, ან სხვას არ უნდა გაეტანა, მე კი იდიოტივით წამოვხტი, სასარგებლო წინადადებასთან ერთად ვთქვი სისულელეც და დავუშვი თვითნებობა, რისთვისაც მკაცრ სასჯელს ვიმსახურებ".**

ენერგიულად ნათქვამია და ამ სიტყვებში აშკარად იგრძნობა მტკიცე ხასიათი — ხშირად თავშეუკავებელი, მაგრამ გულწრფელი.

გულწრფელი, პატივცემულო მკითხველო!

ასევე გულწრფელად ნათქვამად მესახება შემდეგი სტრიქონები...

**"...მაგრამ, ასევე გულწრფელად უნდა აღვნიშნო, რომ მეცა და ჩემი თანაშემწეებიც საგანგებოდ ვემზადებოდით ცეკას პრეზიდიუმისა და მთავრობის სხდომისათვის, რათა მას დავხმარებოდით სწორი გადაწყვეტილების მიღებაში. მე ვერ მოვასწარი თქვენთვის წარმომედგინა დადგენილების პროექტი დაჯილდოების შესახებ, რომლის შედგენასაც ორი თვე მოვანდომე (საუბარია საბჭოთა კავშირში ახალი ორდენების შემოღების თაობაზე). ამხანაგებთან ურთიერთობაში, რომელთან ერთადაც მუშაობა მიწევდა, მე ვცდილობდი ვყოფილიყავი პრინციპული, შეუვალი, პარტიულად მომთხოვნი, რათა მათ დავალებების შეესრულებინათ პარტიისა და მთავრობის მოთხოვნათა შესაბამისად. სხვა ურთიერთობა ამ ამხანაგებთან მე არ მქონია. ავიღოთ თუნდაც შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელი ამხანაგები კრუგლოვი, ქობულოვი, სეროვი, მასლენიკოვი, ფედოტოვი, სტახანოვი, პიტოვრანოვი, კოროტკოვი, სოზიკინი, გორლინსკი, გოგლიძე, რიასნი, სუდოპლატოვი, სავჩენკო, რაიჰმანი, ობრუჩნიკოვი, მეშჩიკი, ზირიანოვი და სხვები. გარდა იმისა, რომ მათ აქტიურად ემოქმედათ საბჭოეთის მტრების წინააღმდეგ, ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ, მათდამი სხვა მოთხოვნა მე არასოდეს მქონია. მითითებული ამხანაგები კი ჭეშმარიტი პარტიელებივით მუშაობდნენ. სეროვი ხომ საერთოდ ხელში მყავდა შეკლული, რათა მოკლე ვადებში აეწყო ლენინგრადის მილიციის მუშაობა და ეს მოწინავე გამოცდილება გაეზიარებინა საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებისათვის..."**

ვიმეორებ: ზოგჯერ ეჭვის ქვეშ დგება ამ წერილის ავტორის ვინაობის საკითხი — კერძოდ, არ შეიძლებოდა იგი ბერიას დაეწერა, რადგან ამ დროს იგი უკვე მკვდარი იყოო. აქედან გამომდინარე, ეს წერილი ფალსიფიკაციააო.

მე კი პირიქით მივიჩნევ! წერილის სტილის დაწვრილებითი ანალიზი გვარწმუნებს, რომ ეს და ბუნკერში დაწერილი სხვა ბარათები სწორედ ლავრენტი ბერიას კალამს ეკუთვნის. ბარათებში ისეთი წვრილმანებია აღწერილი, რომლის თაობაზე თვით ყველაზე გაცნობიერებულ ნომენკლატურულ ავტორსაც კი არაფერი ეცოდინებოდა, აღარაფერს ვამბობ წერილების ავტორის აზროვნების ბერიასეულ თავისებურებებზე, რაც მათში აშკარად გამოსჭვივის.

მაგრამ, სეროვისა და სტახანოვის დადებით კონტექსტში მოხსენიებაც კი კმარა საიმისოდ, რომ ამ წერილების ავტორად ბერია ვაღიაროთ.

ნიკოლოზ პავლეს ძე სტახანოვი იყო გენერალი-ჩეკისტი, მაშინ შსს-ს მილიციის მთავარ სამმართველოს შეფობდა, შემდეგ იყო მინისტრის მოადგილე, 1955 წლიდან 1962 წლამდე კი რუსეთის ფედერაციის შინაგან საქმეთა მინისტრი. წერილის **"ფალსიფიცირების"** შემთხვევაში რატომ უნდა მიეტმასნებინათ იგი ბერიასათვის?

არმიის გენერალი ივანე სეროვი კი, რომელსაც 1953-ში ორმოცდაათი წელიც არ ჰქონდა შესრულებული, საერთოდ თავგადაკლული **"ხრუშჩოველი"** იყო. ამიტომ, ყველაზე მონდომებული **"გადამწერიც"** კი არ დაუკავშირებდა მათ სახელებს ლავრენტი ბერიას.

რაც შეეხება ამ გარემოცვის ერთ-ერთ წევრს კრუგლოვს, იგი ბერიას დაპატიმრებისთანავე დაინიშნა სსრკ შინაგან საქმეთა მინისტრად.

ამდენად, 1953 წლის ივლისში ბერია ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, და იგი წერილს სწერდა მალენკოვს:

**"...მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება შენთან მუშაობას უკავშირდება. ეს დაიწყო 1938 წელს, როცა მე შინაგან საქმეთა სამინისტრო ჩავიბარე და შენ მეხმარებოდი კადრებთან მუშაობაში., ეს გახლდათ დიდი სამამულო ომის დაძაბული დღეები, როცა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის მიერ შენ დავალებული გქონდა შესაბამის ქარხნებში თვითმფრინავებისა და ძრავების გამოშვება, მე კი ფრონტისათვის ტყვიებისა და ჭურვების გამოშვებაზე ვზრუნავდი. ჩვენ ორივენი და, ჩვენთან ერთად ამხანაგები კაგანოვიჩი და მიქოიანი კი ერთობლივად ვაგვარებდით ტრანსპორტის შეუფერხებლად გადაადგილების საკითხებს. ომის დასაწყისში, როცა მტერი ძლიერ გვაწვებოდა და თავის დაცვის საშუალება თითქმის არა გვქონდა, სტალინის მითითებით ჩვენ ჩამოვაყალიბეთ სარეზერვო არმია და 15 მძლავრი ჩეკისტური დივიზია, რამაც გადაწყვიტა ომის შემდგომი ბედი. მაშინ შენ სტალინგრადის ფრონტს ხელმძღვანელობდი, მე კი კავკასიის მისადგომებთან ვიდექი და უნდა ითქვას, რომ ჩვენ მაშინ უაღრესად კეთილსინდისიერად ვუძღვებოდით მინდობილ საქმეს, ძალას არ ვიშურებდით და არ ვიცოდით, თუ რა იყო შიში..."**

არა, უბრალო **"გადამწერი"** ასე ვერ დაწერს!

წარსულს რომ იხსენებდა, ბერიას, როგორც ჩანს, დაავიწყდა, რომ სად იმყოფება და რას წერდა. წერილში იგი ასევე ეხება ატომურ პრობლემებს, ჰაერსაწინააღმდეგო სისტემებს **"ბერკუტსა"** და **"კომეტას",** და მხოლოდ შემდეგ ახსენდება, რომ მოხსენებით ბარათს კი არა, მონანიებისა და პატიების წერილს წერდა. ბერია მაშინვე უბრუნდება მისი და მალენკოვის საერთო წარსულს:

**"მე არაფერს ვამბობ ყოველნაირ დავალებებზე, — წერს იგი, — რასაც ჩვენ ცენტრალური კომიტეტი, მთავრობა და უშუალოდ იოსებ სტალინი გვაძლევდა. მაშინ ჩვენ მთელ ძალასა და მონდომებას ვაქსოვდით მინდობილი საქმის შესასრულებას, ათი წლის განმავლობაში არაერთხელ შევხვედრივართ ერთმანეთს, მაგრამ მუდამ საქმეზე ვსაუბრობდით, რადგან სხვა მიზანი არ გაგვაჩნდა. ჩემი ტრაგედია ისაა, რომ დავკარგე კავშირი შენთან და იმ პარტიულ ამხანაგებთან, რომლებთანაც წლობით თავაუღებელი საქმიანი ურთიერთობა მაკავშირებს..."**

შემდეგ ლავრენტი პავლეს ძე წერს: **"რამდენიმე სიტყვა უნდა ვთქვა ჩვენი მეგობრების შესახებ..."** და მიმართავს პარტიის ცეკას პრეზიდიუმის დანარჩენ წევრებს.

მოლოტოვს:

**"...ვიაჩესლავ მიხეილის ძევ! მე ყოველთვის გულთბილი ურთიერთობა მქონდა თქვენთან კავკასიაში მუშაობისას, რადგან მიგიჩნევდით დიდ ლენინელად და სტალინის საქმის ერთგულად... თქვენ კარგად გახსოვთ, რომ ომის დასაწყისში ქვეყანა უაღრესად მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა, რის თაობაზეც ჩვენ საუბარი გვქონდა ამხანაგ სტალინთან მის აგარაკზე. მაშინ თქვენ, მინისტრთა საბჭოში, პრინციპულად დააყენეთ იმ ცენტრის შექმნის საკითხი, რომელსაც სამშობლო უნდა ეხსნა და მეც მხარი დაგიჭირეთ და მოვითხოვე თათბირზე მალენკოვის გამოძახება... შემდეგ ჩვენ ერთად წავედით სტალინთან და დავარწმუნეთ იგი, რომ უნდა შექმნილიყო ქვეყნის თავდაცვის კომიტეტი...**

**მე უამრავი ფაქტების მოყვანა შემიძლია, მაგრამ საკმარისია გავიხსენო ჩემი გამონათქვამი იმის თაობაზე, რომ ვინც ცდილობს ერთმანეთს წააჩხუბოს სტალინი და მოლოტოვი, იგი დიდ დანაშაულს სჩადის სამშობლოს წინაშე... მე ვფიქრობ, რომ ამას დამიდასტურებენ ამხანაგები გ. მალენკოვი და ა. მიქოიანი. მცირე ხნის წინ კი სტალინი მე და მალენკოვს "შუამავლებს" გვიწოდებდა, როცა თქვენი და მიქოიანის ურთიერთობას და მის გამოსწორებაში ჩვენს როლს გულისხმობდა".**

სტალინს ჰქონდა იმის საფუძველი, რომ გუნება გაეფუჭებინა ზოგიერთი მისი თანამებრძოლებისათვის... მაგრამ ახლა ეს არ არის მთავარი. მთავარია ის, თუ როგორ ცდილობდა ბერია თავიდან აერიდებინა ზოგიერთი ინტრიგა. მაგრამ მალენკოვზე დაყრდნობა მისადმი მიწერილ წერილში მხოლოდ სიმართლით შეიძლებოდა ყოფილიყო ნაკარნახევი.

გამოდის, რომ სიმართლე, და არა ყურმოკრული ამბები, იყო ის, რასაც სწერდა ბერია.

ის კი წერდა:

**"კლიმენტი ეფრემის ძევ! კვლავ კავკასიით დავიწყებ. ჩვენ ყველას მაგრად გვიყვარდი მე საქართველოს კომპარტიის დავალებით სპეციალურად ჩამოვედი მოსკოვში, რათა მეთხოვა სტალინისთვის, რომ თქვენ ჩამოსულიყავით თბილისში რევოლუციის თხუთმეტ წლისთავთან დაკავშირებით გამართულ ზეიმზე.**

**მე სტალინმა გამლანძღა და მხდალი მიწოდა, როცა ვთხოვე, რომ თქვენ და ბუდიონი მთავარსარდლებად დაენიშნეთ. ლანძღვით კი გამლანძღა, მაგრამ, თქვენ მაინც დაგნიშნათ ამ თანამდებობებზე..."**

მკითხველის ყურადღებას მივაქცევ ფორმულირებას: **"საქართველოს კომპარტიის დავალებით..."** მე კი არ წავსულვარ, არამედ წავედი **"საქართველოს კომპარტიის დავალებით..."**

ბერია რომ სულმდაბალი პიროვნება ყოფილიყო, დაწერდა, რომ მე ჩემი ინიციატივით ჩავედი მოსკოვშიო და ვოროშილოვის პირადი მასპინძლის როლს დაიბრალებდა.

მაგრამ ბერია ყოველთვის იყო **"ბრძანების კაცი"** და ეს მის წერილშიც გამოსჭვივის.

ხრუშჩოვსა და ბულგანინს მან მშრალი ფრაზებით მიმართა და **"შესანიშნავი ბოლშევიკები და ამხანაგები"** უწოდა.

*გაგრძელება იქნება*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამეგრელოს საამაყო შვილები

## გიგლა ფირცხალავა

დიდი გალაკტიონი გიგლა ფირცხალავას ცხოვრების გზაჯვარედინზე შეხვდა, მეისრესავით ისარი იქეთ გადაუწია და დეპოში მიმავალი გიგლა ნიჭიერების გამოსავლენად შორ გზას გაუყენა. პირველი კურსის სტუდენტმა გიგლამ სამხატვრო აკადემიის კლუბში მოწყობილ შეხვედრაზე გალაკტიონს ლექსი მიუძღვნა. დიდმა პოეტმა გიგლა სახლში მიიპატიჟა, რომელიც შემდეგ იხსენებდა:

– აბა, მომეცი, ძამიკო, რა მომიტანე? – მომმართა გალაკტიონმა და ხელი გამომიწოდა. მე რვეული მივაწოდე.

გალაკტიონი ჩუმად ფურცლავდა რვეულს. მომეჩვენა, რომ გულმოდგინედ კითხულობდა.

– მშვენიერია, ძამიკო, მშვენიერი! – თქვა უცებ ღიმილით.

მე სიხარულით ცას ვეწიე. მან თავი ოდნავ გვერდზე გადახარა, დამაკვირდა და მითხრა:

– კარგი იქნება, თუ ამ ლექსებს წიგნად გამოვცემთ!

ყურებს არ ვუჯერებდი...

შემდეგ ჩაფიქრდა და ჩაილაპარაკა:

– გამოცემა კია ადვილი, მაგრამ, აი, ქაღალდის შოვნა არის ძნელი!..

– ქაღალდს მე ვიშოვი! – წამოვიძახე გახარებულმა, – ზუგდიდში მყავს ნათესავები, რომლებიც ენგურის ქაღალდის კომბინატში მუშაობენ...

– ძალიან კარგი, ძამიკო, ძალიან კარგი! ქაღალდს თუ იშოვი, გამოცემა ჩემზე იყოს! – მითხრა და რაღაც საეჭვოდ გადმომხედა.

მე კი ფრთაშესხმული ზეზე წამოვხტი და კარებისკენ გავეშურე. გალაკტიონმა კარებამდე მიმაცილა, კიბეზე რომ ჩავდიოდი, მომაძახა:

– ძამიკო, შენთვის რომ სთხოვ ქაღალდს იმ შენს ნათესავებს, თუ შეიძლება, ცოტა ჩემთვისაც გამოართვი!

ამის შემდეგ ლექსი აღარ დამიწერია იმის შიშით, რომ გალაკტიონის წილი ქაღალდი არ გამეფუჭებინა!..

გალაქტიონის სარკაზმი გიგლა ფირცხალავასთვის საბედისწეროდ მისაბაძი აღმოჩნდა. იგი თვითონვე შეიარაღდა სარკაზმით, სატირითა და იუმორით. გზიდან, რომელიც მან აირჩია, სიცოცხლის ბოლომდე არ გადაუხვევია. იყო ცნობილი კარიკატურისტი, სახალხო მხატვარი და, რაც მთავარია, ნაღდი „ნიანგელი“; სპორტული აღნაგობის, ფიზიკურად ჯანმრთელი, სპორტულ კრივში გაწაფული გიგლა ფირცხალავა მუდამ ფორმაში გახლდათ.

ჩვენი პირველი გაცნობა, სრულიად შემთხვევით და საინტერესოდ მოხდა. ეს ის დროა, როდესაც თბილისის ქუჩებში ტრამვაი მოძრაობდა. მე ე.წ. მელიქ-კაზარიანის სახლის წინ სწრაფად მოძრავ ორვაგონიან მწვანე ფერის №5 ტრამვაის შევახტი. ვაგონის უკანა ბუფერი თავისუფალი იყო. კიბესთან მხოლოდ ერთი თმახუჭუჭა კაცი იდგა, რომელმაც გაქანებულ ტრამვაიზე შეხტომისას ხელი მომაშველა. მადლობის ნიშნად გავუღიმე და მანაც გამიღიმა. იქვე დავდექი. უცებ, მხარზე ხელი დამკრა და მთხოვა, შემოტრიალდიო; კოსტუმის ჯიბიდან ბლოკნოტი ამოიღო, ჩემი ზურგი პატარა მაგიდად გამოიყენა და რაღაცის ხატვა დაიწყო, თან ვიღაცას უყურებდა და იღიმებოდა, თვალი გავაყოლე და საოცარი ცხვირის პატრონი კაცი დავინახე.

ტრამვაიში მყოფი მგზავრების ყურადღება ჩემს ზურგზე დადებულმა ქაღალდმა მიიქცია. ხუჭუჭა კაცმა ხატვა დაამთავრა, და ბლოკნოტი ჯიბეში ჩაიდო. ვთხოვე, თუ ძმა ხარ, მანახე, რა დახატემეთქი. ნახატი ამოიღო, დავხედე და ისეთი სიცილი ამიტყდა, მთელი ვაგონი მე მიყურებდა – ზოგი გაკვირვებული, ზოგი გაღიმებული, ზოგიც გაცინებული. ნატურისტიც დაინტერესდა, დახედა თუ არა ნახატს, თავისი მოსწრებული ცხვირი იცნო და თვითონაც ბევრი იცინა. უნივერსიტეტთან ტრამვაი გაჩერდა. მე და ხუჭუჭა გაჩერებაზე ჩამოვედით. ეს ხუჭუჭა კაცი გიგლა ფირცხალავა აღმოჩნდა. იქვე მყოფი სტუდენტების უმრავლესობა გიგლასაც იცნობდა და მეც. მალე ჩვენი ნაცნობობა მეგობრობაში გადაიზარდა.

ზაფხულში კოჯორში ვისვენებდი. გიგლა წრიული ჯვრის ბანაკში პიონერხელმძღვანელად მუშაობდა და ისვენებდა კიდეც. ამავე ბანაკში პიონერხელმძღვანელად მუშაობდა ასევე, ახლა ჩვენთვის კარგად ცნობილი, დამსახურებული ჟურნალისტი გიზო ნიშნიანიძე. მე მაშინ საკუთარი ავტომობილი მყავდა, რაც იმ დროს იშვიათობა იყო. წავედით **„ქოროღლის“** ციხის სანახავად. მანქანა ქვემოთ გავაჩერეთ და აღმართს ფეხით აუყევით. ციხეს წვერში მოვექეცით, გიგლამ წვერზე კიდევ წვერი შეამჩნია და ზედ ასვლა დაიწყო. მე და გიზო პატარა ფართზე დაწოლილები ვუყურებდით გიგლას მოძრაობას და სიმაღლის შიშით ფეხზე ვერ ვდგებოდით. ამ დროს გიგლამ წვერზე ყირა გაჭიმა. თვალები დავხუჭეთ, გამოვიტირეთ მეგობარი, მაგრამ გამოსატირებელი კინაღამ ჩვენ გავხდით... კიდევ კარგი, შინ მშვიდობით დავბრუნდით.

ამ ამბავს ყველგან ვყვებოდი და გიგლას ძალიან უხაროდა. ვფიქრობ, ახლა ჩემი ნაამბობით მის წინაშე საბოლოოდ მოვიხადე ვალი.

ურიცხვ ნახატებში და, განსაკუთრებით, კარიკატურების გალერეაში გიგლა ფირცხალავას ავტოშარჟებიც მოიძებნება. იგი სხვა მხატვრებისგან იმით განსხვავდებოდა, რომ თემებს თვითონ იგონებდა. მოგეხსენებათ, ქართული სუფრა იუმორის გარეშე არ არსებობს. გიგლა ამით სარგებლობდა, კარგ ხუმრობას **„სალფეტკაზე“** ჩაიწერდა, ჩაიხატავდა და მერე რედაქციაში შესანიშნავ ნახატს მოიტანდა.

თავის ქალას მოცულობა ზომაზე მეტი ჰქონდა. ამას თვითონაც აღიარებდა ხოლმე. როცა 50 წელი შეუსრულდა, „ნიანგი“ საიუბილეო მისალოც წერილს ამზადებდა. გიგლამ რჩევა გვკითხა, ავტოშარჟი როგორი გავაკეთოო.

– შენ ყველას **„აშაყირებ“**, ჰოდა, ადექი ახლა და შენი მოზრდილი თავი შენ თვითონ „გააშაყირე“! – შევთავაზე მე.

– თემა კარგია, მაგრამ როგორ? – მეკითხება გიგლა.

იმ დროს დიდეკრანიანი ტელევიზორები არ არსებობდა და შევთავაზე:

– ერთმანეთის გვერდით დახატე ორი ტელევიზორი და ნახევარი თავი ერთ ტელევიზორში ჩახატე და ნახევარი – მეორეში.

ასეც დაიბეჭდა.

გიგლას მეორე სუსტი წერტილი სწრაფი ლაპარაკი იყო. იმდენად ჩქარა და გაურკვევლად ლაპარაკობდა, რომ აზრის გამოტანა გაგიჭირდებოდა.

ერთხელ გერმანელები გვყავდა სტუმრად, გერმანული ენის მცოდნე კი ჩვენ შორის არავინ აღმოჩნდა. ნოდარ დუმბაძემ ყურადღება გიგლაზე შეაჩერა და ღიმილით თქვა: – მოდი, გიგლა ვალაპარაკოთ გერმანელებს; შეიძლება კი ეგონოთ, რომ გერმანულად ლაპარაკობს, ჩვენ ქართულად – გვეგონებაო.

გიგლამ შესანიშნავად ითამაშა კინოფილმებში **„არაჩვეულებრივი გამოფენა“** და **„პირველი მერცხალი“**. როლებშიც ზუსტად ისეთი იყო, როგორიც – ცხოვრებაში.

უაღრესად კოლორიტულ პიროვნება, ჭეშმარიტი ჯენტლმენი, ნაღდი თბილისელი საყვარელი დედაქალაქის ცხოვრებით სუნთქავდა; დადიოდა ქალაქის ქუჩებში და გიღიმოდა, გესალმებოდა უბრალოდ, მეგობრულად და თავმდაბლურად. სხვებს კი უხაროდათ მის გვერდით ყოფნა და მოღვაწეობა. უსპეტაკესსა და უპატიოსნესს, დიდსულოვანსა და ნათელ კაცს პირადი ცხოვრება თითქმის არ ჰქონია. იგი თავისი ქვეყნისა და ხალხის ცხოვრებით ცხოვრობდა; უსინდისობა და არაკაცობა აცოფებდა. ვინ იცის, რამდენ ანტიპოდსა და უზნეოს უცვნია თავისი თავი მისი კარიკატურების გმირებში. რამდენი ნეგატიური მოვლენა, ქვეყნის ავ-კარგი გამოუტანია სატირული სიცილის სამსჯავროზე.

გიგლა მეგობრობისა და მეგობრებისათვის იყო დაბადებული და ბოლომდე ერთგულად, ვაჟკაცურად ატარა ძმობის უღელი. თითქმის ყველა გამოჩენილი ადამიანი მისი მეგობარი იყო; საკმარისია, ვახსენოთ თუნდაც ერთი – ბატონი ჭაბუა ამირეჯიბი.

სამწუხაროა, რომ სიცოცხლითა და იუმორით აღსავსე ადამიანმა მარტოობაში თვითმკვლელობით დაამთავრა წუთისოფელთან ურთიერთობა.

**ჟანი სიხარულიძე**

## სპირიდონ კედია

დაიბადა 1984 წლის 20 სექტემბერს. სამი წლისა ძლივს შესრულდა, როცა კედიების ოჯახს დიდი ტრაგედია დაატყდა თავს – მოულოდნელად გარდაიცვალა მამა – მალხაზ კედია და ოხახის მთელი სიმძიმე ქვრივად დარჩენილ დედას – თეო ქუთათელაძეს დააწვა კისერზე. ღმრთის მორწმუნე, დარბაისელი და სათნო ქალბატონი ზრუნვას არ აკლებდა პატარებს და ბავშვებს წერა-კითხვა ოჯახშივე ასწავლა, რათა ისინი უკვე სათანადოდ მომზადებულები მისულიყვნენ სკოლაში.

სპირიდონ კედია რვა წლისა რომ შესრულდა, ზუგდიდის ექვსწლიან სკოლაში მიაბარეს სასწავლებლად. 1898 წელს, ნიჭიერი ბავშვი, ცნობილ პედაგოგ და საზოგადო მოღვაწე პეტრე ოცხელთან ნაყოფიერი მეცადინეობის შემდეგ წარმატებით აბარებს მისაღებ გამოცდებს ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში. ამ საქმეში დიდი როლი ითამაშა ზუგდიდის მაზრის უფროსის ხელმოწერით გაცემულმა სიღარიბის მოწმობამაც, რომლის საფუძველზე სპირიდონი გაანთავისუფლეს სწავლის ქირისაგან და შემდეგ სახელმწიფო სტიპენდიაც დაუნიშნეს. სხვაგვარად, ხელმოკლე ოჯახის შვილი, ნამდვილად ვერ შესძლებდა სწავლის გაგრძელებას.

ახალგაზრდა კაცი ხომ მუდამ თავგადასავლებს ეძებს – სპირიდონიც ამხანაგების მიბაძვით ჩაერთო რევოლუციურ მოძრაობაში, რაც შეუმჩნეველი არ დარჩენია ადგილობრივ ხელისუფლებას. 1905 წლის 8 აპრილს, მერვე კლასის მოსწავლე, ქუთაისის ჟანდარმერიის წერილის საფუძველზე, პედაგოგიურმა საბჭომ გარიცხა სასწავლებლიდან, დაუყოვნებლივ გაასახლეს ქუთაისიდან და სამეგრელოში დააბრუნეს. თან ხელწერილი ჩამოართვეს ზუგდიდიდან გაუსვლელობის თაობაზე.

1905 წლის 12 ოქტომბერს სპირიდონ კედიამ წერილობითი თხოვნით მიმართა ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა ყრილობას და მათგან ევროპაში უმაღლესი განათლების მისაღებად თანადგომის სურვილი გამოთქვა. ყრილობის საბჭოში, მიუხედავად უცხოელი მოხელეების დიდი წინააღმდეგობის, მაინც ეწეოდნენ ქველმოქმედებას ცნობილი მეცენატები გიორგი ზდანოვიჩი (მაიაშკინი) და კიტა აბაშიძე. სწორედ მათ დააკმაყოფილეს სპირიდონ კედიას თხოვნა და 25 მანეთი სტიპენდიაც დაუნიშნეს.

1906 წლის ნოემბერში სპირიდონ კედია პარიზში ჩავიდა. საკმაოდ გაუჭირდა უცხო გარემოს შეგუება – ევროპაში ყოფნის პირველი წელი ფრანგული ენის შესწავლას მოანდომა. პარალელურად ისმენდა ლექციებს **"კოლეჟ დე ფრანსში"**. 1907 წელს იგი სორბონის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სტუდენტი ხდება. უცხოეთში მყოფი ხელმოკლე სტუდენტი ბეჯითად მუშაობდა ლიტერატურაზე და მალე მიაღწია სასურველს შედეგს – მიიღო დიპლომი **"ლის-ნს ეს სონს",** მაგრამ ამას არ დასჯერდა და ფიზიოლოგიის დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად შეუდგა მუშაობას (ეს ნაშრომი 1922 წელს ჩეკისტებმა სპირიდონ კედიას დაპატიმრებისას ბინიდან წაიღეს, როგორც საეჭვო დოკუმენტი).

კომუნისტების საპატიმროდან თავის დახსნის შემდეგ იყო ემიგრაციის მძიმე წლები. როცა სამშობლო მოენატრებოდა, ცხვირსახოცში გახვეულ ქართულ მიწას ეამბორებოდა ხოლმე. გულმხურვალე პატრიოტი სპირიდონ კედია სიცოცხლის ბოლო წუთამდე აქტიურად იბრძოდა საქართველოს დამოუკიდებლობისდათვის.

**"ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნის,"** – ეს ილიასეული დევიზი იყო სპირიდონ კედიას ცხოვრების არსი, რისთვისაც მას არასოდეს უღალატნია. თავისუფლებაზე ოცნებაში აღმოხდა სული ღირსეულ ერისკაცს – 1948 წლის 17 მაისს აღესრულა საფრანგეთში და ქართულმა ემიგრაციამ იგი დიდი პატივით მიაბარა ლევილის მიწას.

## შოთა მესხია

დაიბადა 1916 წლის 27 აპრილს წალენჯიხის რაიონის სოფელ ობუჯში, გლეხის – ამბაკო მესხიას ოჯახში. დედა – ლიდა შენგელია გამოჩენილი ქართველი მწერლის ლეო ქიაჩელის ახლო ნათესავი იყო. მოგვიანებით მესხიების ოჯახი ზუგდიდში დასახლდა, სადაც შოთა არასრულ საშუალო სკოლაში შევიდა. 1930 წელს სკოლა დაამთავრა, სადაც იგი პოლიტიკურ ლიტერატურას გაეცნო. როგორც მოგვიანებით ბატონი შოთა აღნიშნავდა თავის მოგონებებში, ლეო ქიაჩელი თურმე ხშირად სტუმრობდა მათ ოჯახს და მისი ყოველი გამოჩენა განსაკუთრებით ბავშვებს გვრიდა სიხარულს. მან შოთას თავისი წიგნი აჩუქა – **"ზღვა, მზე და ოთარიკო"**, რამაც წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა შოთაზე.

1931 წელს იგი ზუგდიდის სატყეო სასწავლებელში შევიდა, რომლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე. იგი ისმენდა ქართული მეცნიერების კორიფეების ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიას, შალვა ნუცუბიძის და სხვათა ლექციებს. სწორედ აქ გადაწყვიტა შოთა მესხიამ, რომ საქართველოს ისტორიის კვლევებისათვის მიეძღვნა მთელი თავისი სიცოცხლე.

შოთა მესხიამ 1937 წელს წარჩინებით დაამთავრა უნივერსიტეტი და იმავე წლის 1 სექტემბრიდან დაინიშნა მშობლიური რაიონის ერთ-ერთ სოფელში საშუალო სკოლის დირექტორად, სადაც იმუშავა 1938 წლის 1 ოქტომბრამდე.

ამ წელს იგი ჩაირიცხა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ენის ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის ასპირანტურაში, რომელიც დაამთავრა 1941 წელს. საკანდიდატო დისერტაციაც დამთავრების სტადიაში ჰქონდა, როცა მეორე მსოფლიო ომი დაიწყო და ოფიცრად იქნა გაწვეული. ჩრდილო კავკასიის ფრონტზე გამოჩენილი ვაჟკაცობისათვის იგი დაჯილდოვდა სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენით და მედლით **"კავკასიის დაცვისათვის"**. დაჭრის შემდეგ იგი საქართველოში დაბრუნდა და კვლავ მეცნიერულ კვლევას დაუბრუნდა.

1942 წელს მიენიჭა ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი და დაინიშნა ისტორიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-თანამშრომლად. შემდეგ უფროსი მასწავლებელია სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის კათედრაზე, 1945 წლიდან კი დოცენტია. იგი აშუქებდა ფეოდალური საქართველოს საქალაქო წყობილების საკითხებს. შემდეგ მიავლინეს მოსკოვში და 1953 წელს დაამთავრა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის დოქტორანტურა. 1955 წლის 24 იანვარს, ამავე ინსტიტუტში წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: **"ფეოდალური საქართველოს ქალაქები და საქალაქო წყობილება"**.

1956 წელს შოთა მესხია დაინიშნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის კათედრის გამგედ, 1957 წელს კი პროფესორის წოდება დაუმტკიცეს. 1961 წლიდან უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დეკანია.

იგი იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, შრომის წითელი დროშის ორდენის კავალერი.

1971 წელს კოლეგების მიწვევით გაემგზავრა გერმანიაში, სადაც შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტში წაიკითხა ლექციები საქართველოს ისტორიის თაობაზე.

შოთა მესხიას კიდევ ბევრი რამის გაკეთება შეეძლო ქართული ისტორიული მეცნიერებისათვის, მაგრამ 1972 წელს, 56 წლის ასაკში გარდაიცვალა უკურნებელი სენისაგან. დაკრძალულია ქართველ მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

**გვერდი მოამზადა**
**რ. შალამბერიძემ**

# ამის დაკარგვის, ან დავიწყების უფლება არც რუსსა აქვს და არც ქართველს!



## (ნაწყვეტები ვასილ ველიჩკოს წიგნიდან "კავკასია")

*1904 წელს, ამ წიგნის ავტორის ვასილ ველიჩკოს გარდაცვალების შემდეგ, მისი მოსწავლეების მიერ „კავკასიის" წიგნად გამოცემამ ძალზე ააფორიაქა მთელი პლანეტის სომხური მოსახლეობა. ინგლისში მცხოვრებმა სომეხმა დიდვაჭარმა გულბეკიანმა იმ დროისათვის ზღაპრული თანხა – ხუთი მილიონი ფუნტი სტერლინგი (დღევანდელი კურსით, დაახლოებით სამასი მილიონი დოლარი) – გადაიხადა, რათა ამ წიგნის მთელი ტირაჟი გაყიდვიდან ამოეღოთ და გაენადგურებინათ, მაგრამ, როგორც ხედავთ, ვერაფერს გახდა. თუმცა, სომხებმა ნაწილობრივ მაინც მიაღწიეს საწადელს, რადგან წინამდებარე წიგნი გახლავთ ვასილ ველიჩკოს მთლიანი ნაშრომის პირველი ტომი, მეორე ტომი კი, საერთოდ აღარ გამოსულა და, ჩვენი დიდი ძიების მიუხედავად, მაინც ვერ მოვახერხეთ მისი პოვნა. როგორც ჩანს, ამ ტომის ხელში ჩაგდება და განადგურება გარკვეული საზღაურის ფასად მაინც მოახერხეს სომხებმა.*



გენერლის უკანასკნელ სიტყვებზე არც თუ შრიალი, არც თუ ჩურჩული მოჰყვა ხალხში, და ამ ბგერებისგან შესდგა რაღაც საცოდავი, მკვნესარე გამმა.

გენერალმა ისე გაიგო – ალბათ ჩემს ნათქვამზე დრტვინვა შეჰქმნესო და დაუყვირა:

– ჩუმათ! თუ ერთი კრინტი დაგიძრავთ, ვუბრძანებ, გესროლონ!..

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. ამ დროს ხალხის დუნდგოდან წამოდგა თოვლივით თეთრად გადაპენტილი თმაწვერა მოხუცი, მივიდა გენერალთან, მის ცხენს ფეხებზე მოიხვია და ხმამაღლა შეჰღაღადა – წყალობა მიყავ და მალაპარაკეო.

– გვესროლე, გენერალო, როგორც წყალობას, ისე გთხოვთ. ათას წილ გვირჩევნია დავიხოცნეთ, ვიდრე ამ მდგომარეობაში დავრჩეთ, როგორშიც ახლა ვართ. შენი აქ, ამ მთაზე გამოჩენა, სასწაული გვგონია, ისე მოგვევლინე, როგორც მხსნელი ანგელოზი ღვთისა... შენ რომ არ მოსულიყავი აქ, ჩვენ თვითონ მოვიდოდით შენთან, იმიტომ რომ ქუთაისისკენ მოვდიოდით, ცხენის-წყალს გაღმა, სწორედ შენთან. ბევრი რამ გაგვიგონია შენზე, შენს სამართლიანობაზე. ცხენის-წყალს გამოღმა სამართალი არ არის, სამართალი მხოლოდ გაღმაა და ჩვენც იმისკენ მოვდიოდით.

ხალხს მოეწონა მისი ნათქვამი და მოისმა ხმები:

– მართალია, მართალი!

მოხუცმა განაგრძო:

– და აი, ახლა, როცა შენ ჩვენს წინაშე ბრძანდები, ჩვენ შენის ბრძანებით კი არა, ჩვენის ნებით ვემხობით პირქვე და გეხვეწებით: გვესროლეთ! თუ კი ღმერთმა, ვენაცვალე მის დიდებას, პირი გვარიდა, გვირჩევნია ერთ დღეს გავსწყდეთ, ვიდრე ნელ-ნელა ვიტანჯოთ; მაგრამ სანამ გვესროდე, გენერალო, შენი მუხლების ჭირიმე, მოგვისმინე...

მოხუცი ამის თქმაზე მიწაზე დაემხო. მთელმა დუნდგომ იმას მიჰბაძა და იგივე ქნა.

– კარგი, მოგისმენთ. მინდა გავიგო, რა სამართალს ეძებდით ცხენის-წყალს გაღმა, მაგრამ გაფრთხილებთ, მე მინდა სიტყვაშეუბრუნებლად ემორჩილებოდეთ დედოფალს.

გენერალმა ეს რომ სთქვა, ცხენს შემოჰკრა, შარაგზიდან გადმოუხვია და ერთ ხშირტოტებიან ხესთან მივიდა. ყაზახრუსებმა დასაჯდომი გაუკეთეს და იმანაც იქ მოიხმო ხალხი.

– აბა, სთქვი, გისმენთ.

რამდენსამე კაცმა ერთად დაილაპარაკა.

– ჩუმად! – დაიყვირა ისევ გენერალმა, – ამოირჩიეთ ერთი, და იმ ერთმა ილაპარაკოს.

– მიქავა, მიქავა... – გაისმა ყველა მხრიდან; – შენა სთქვი, მიქავა...

კოლუბიაკინმა მიქავა მოიხმო. და როცა ეს მივიდა დიდის მოწიწებით და მუხლებზე დაეშვა, კოლუბიაკინმა უბრძანა ამდგარიყო და ელაპარაკნა. მიქავამ შეშინებულის ხმით დაიწყო ლაპარაკი, მაგრამ თანდათან სიმხნევე ემატებოდა.

– ამ ერთს წელს წინად, ჩემო ბატონო, ჩვენს ქვეყანას, ოსმალთა ჯარი შემოესია, მტერმა გაანიორწყლა ყველაფერი, რაც ხელში მოხვდა. შველა არსაიდან გვქონია; რუსის ჯარმა თავი დაგვანება, ხოლო ჩვენი ბატონები, იმის მაგიერ რომ დავეფარენით, ბიჭებსა და გოგოებსა გვტაცებდნენ და ოსმალებზე ჰყიდდნენ. აუარებელი წაასხეს ოსმალებმა ოსმალეთში. ოსმალები წავიდნენ და ჩვენი ბატონები წინანდელზე უარესად, ოსმალებზე უარესად, მოგვდგნენ. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ მთელი ჩვენი შრომის ნაყოფი იმათა რჩებათ; მათ რომ კაცმა ჰკითხოს, გლეხს არაფერი უნდა ჰქონდეს, და რაც მათ აბადია, ყველაფერს ართმევენ და თუ მოხერხებით არა, ძალით მაინც. ჩვენ ამას შევეჩვიენით. ამას კიდევ თქვენი ჭირი წაუღია, საქმე ის გახლავთ, რომ ამბობენ, ვითომ ჩვენ ადამიანის სულიც კი არ უნდა გვედგასო. მათის აზრით, რა პირუტყვი გნებავსთ, ჩვენ არა გვჯობდეს! ვსთქვათ, ბატონს მეზობლის მიმინო მოეწონა, ადგება და ერთ კომლ გლეხს აძლევს მეზობელს, ოღონდ კი იმან ეს მიმინო დაუთმოს; მწევრის ან მეძებრისათვის რამდენსამე კომლს აძლევს. პირუტყვები უფრო მეტად ფასობენ, ვიდრე ადამიანები. აქავე, ყურიძირში, ცხენისწყალსა და რიონს გაღმა, ადამიანებს ასე როდი ეპყრობიან. ჩვენ ვიცით, რომ იქ პირუტყვზე დაბლა არ აყენებენ, რომ იქ არსებობს კანონი და სამართალი. ნეტავი რა დავაშავეთ ასეთი ღმერთთან, რომ ჩვენთანაც ისევე არ არის? როცა ბატონს თავისას ვაძლევდით, მხოლოდ იმასა ვთხოვდით – ისე მოგვქცეოდნენ, როგორც ამას ჩვენი ძველი, ჩვენთა მამა-პაპათა მიერ დადგენილი, ჩვეულება მოითხოვდა. მაგრამ ამ წმინდა ჩვეულებას მებატონეებმა, დიდი ხანია, ფეხი დააბიჯეს, უგულვებელ ჰყვეს, ხოლო ნაომევს მათმა სისასტიკემ ყოველსავე ზღვარს გადააცილა. გვეჩივლნა? აბა ვისთან გვეჩივლნა? დედოფალი აქედან შორს იყო, ხოლო მისს მდივანბეგებს (პოლიციის მოხელენი) მებატონეების მხარე უჭირავსთ, მათგან ძალდატანების მეტი არაფერი გვახსოვს, თვითონ დედოფლის მოურავები ისე გაგულქვავდნენ და ისე უდიერათ იქცევიან, რომ მისმა საკუთარმა გლეხებმაც-კი გადასწყვიტეს არ დამორჩილდნენ და ხატზე დაიფიცეს – დედოფლის ჩამოსვლამდე ერთმანეთს მხარი დაუჭირონ და ერთიმეორეს არ უღალატონ. ჩვენც მათ მაგალითს მივბაძევით. გვეგონა ჩქარა დაბრუნდებოდა; მაგრამ გაიარა თვეებმა, ჩვენ იქითაქეთ დავეხეტებოდით, ჩვენს ბატონებს ვემალებოდით, და როცა დევნა დაგვიწყეს და ძაღლებით ნადირობდნენ ჩვენზე, ერთად შევერთდით და ძალას ძალა დავუპირისპირდეთ. ამასობაში დადგა გაზაფხული, ყანები არ დათესილა, მებატონენი არ გვითმობდნენ და აღარც ჩვენ ვუთმობდით. ბოლოს, ზაფხულში დედოფალი ჩამოვიდა. მაგრამ რა გამოვიდა? არამც თუ მფარველობა გაგვიწია, ყურშიაც არ უნდა შეუშვას ჩვენი გაჭირვება. **"ეგ როგორ გაჰბედევით, – გვიბრძანა დედოფალმა, – და ბატონებს ხელი ახელითო!"** ჩვენი ხელისხლება კი ის გახლდათ, რომ ჩამოვართვით ხაჯალურები და დადიანურები, რომლითაც ისინი ზოგჯერ მთელის წლობითა გვტანჯავდნენ, და მათს სახლებიდან გამოვაყვანინეთ ჩვენი დები და ქალიშვილები, რომლებსაც მოახლეები ერქვათ და ნამდვილათ კი მათი ხასები იყვნენ, და ქრისტიანულის წესით გავათხოვეთ. მოხუცმა მართალი მოგახსენათ: შენ თვითონ რომ არ მოსულიყავი, ჩვენ თვითონ გეახლებოდით შენთან; მთელი ეს ხალხი მე მომყავდა და რამდენსამე დღეში ცხენიწყალს გაღმა ვიქნებოდით. ჩვენი სამშობლო შეგვზიზღდა, გადავწყვიტევით მოვშორდეთ აქაურობას სამუდამოთ და სადმე ჯანდაბას გადავიკარგნეთ... რაც უნდათ, ის გვიყონ, თუნდაც დაგვხვრიტონ ყველანი, მაგრამ ერთმანეთს შევფიცევით: არაფრის გულისათვის დავბრუნდეთ აქეთ. აი, ოხრად კი დარჩეს ისეთი სამშობლო, საცა თავიც კი ვერ შეგიფარებია სადმე, საცა შენზე ნადირობენ, გარეულ ნადირსავით დაგდევენ!.. დედოფალს ყოველივე ეს ესმოდა ჩვენგან და არ მოინდომა ჩვენთვის ეშველნა. იმას თავის დღეში არაფრით დავმუქრებივართ, ჩვენი არაფერი შიში უნდა ჰქონებოდა, არც ავაზაკები ვართ და აღარც მეამბოხენი, უბედურები ვართ, სამართალსა ვთხოულობთ, მეტს არაფერს. გვიწყალობე, გენერალო, ეს სამართალი, გვიყავი სიკეთე, თქვენი ყურმოჭრილი ყმები ვიქნებით, ყველაფერს გაგიგონებთ. მანამდე კი თქვენის ბედნიერის თვალებითა ნახევით... – აქ მიქავა გლეხებს მოუბრუნდა და მეგრულად რაღაც უთხრა. ერთ წუთში რამდენმამე კაცმა მოათრია მთელი გროვა მძიმე ჯაჭვებისა და ძირს დაჰყარა.

– აი, რითი გვაბამდნენ და გვაწამებდნენ.

გენერალმა უნებურად წარბები შეიჭმუხნა, როცა ეს საწამებელი იარაღი დაინახა.

– აბა რა უნდა გვექნა, – განაგრძო მიქავამ, – მოძალის წინააღმდეგ ძალა უნდა გვეხმარნა ფარად, თუ არა? ისე გამოტეხილად გეუბნები, როგორც ღმერთს. აი, თუნდაც გუშინ, იძულებულნი ვიყავით ასეთის საშუალებით გვეპასუხნა ერთ-ერთ აქაურ მემამულესათვის, – და აქ დაასახელა მისი გვარი. – შეუყრია თავისი თანამოგვარენი, მოულოდნელად დაეცა გლეხის ოჯახს და მოიტაცა იქიდან ქალი, რომელიც წინათ მასთან მოახლედ იყო და რომელიც ჩვენ იქიდან წამოვიყვანეთ და ჯვარი დავსწერევით; ეს ქალი სადღაც დამალეს, ამბობენ, აფხაზეთისკენ წაიყვანეს გასასყიდადო. ჩვენ ეს ძალადობა არ შევარჩინეთ და თვითონ მემამულე, გაბაწრული, ჩვენს ტყვედ არის, სანამ მოტაცებულ ქალს არ დაგვიბრუნებს...

ამ სიტყვებზე გენერალმა ენერგიულად გაიქნია მხრები და დაიყვირა:

– ახლავე აუშვით და აქ მოვიდეს.

მიქავა გაექანა ბრძანების აღსასრულებლად და რამდენიმე წამს უკან გენერლის წინაშე იდგა უიარაღო, მაღალი, მოყვანილი და ლამაზი ვაჟკაცი, თავადი პ.მ. სახეზე საშინელი შიში ეხატებოდა; ალბათ გაგონილი ექნებოდა, რომ კოლუბიაკინი ისეთი კაცი იყო, რომელთანაც ხუმრობა არ გაუვიდოდა.

გენერალმა ბრძანა დაუყოვნებლივ დაებრუნებინათ მისთვის თავისი იარაღი, მერე ახლოს მოიხმო და დაბალის ხმით, მაგრამ რიხიანად უთხრა:

– თქვენს მიერ წართმეული ქალი, გთხოვთ, ახლავე აქ მომგვაროთ; თუ აფხაზეთში გაყიდულია, იცოდეთ, ჩემს წინაშე პასუხს აგებთ. წადით და არ დაივიწყოთ, რომ მე ჩვეული არა ვარ ჩემის ბრძანების ასრულებას დიდხანს ვუცადო ხოლმე.

**პ.მ**-მ მდაბლად დაუკრა თავი და შურდულივით გაქანდა.

ამ დროს შარაგზის მახლობლად, რამდენიმე ცხენოსანი გამოჩნდა. ესენი იყვნენ ადგილობრივი მდივანბეგი და მებატონენი. გენერალმა ბრძანა დაეძახნათ მათთვის, და ისინიც აჩქარებით მოვიდნენ და მდაბლად სალამი ჰკადრეს გენერალს.

– მე თქვენი საქმე არაფელი მაქვს ასახსნელი თქვენთვის, ბატონებო! – უთხრა გენერალმა. – აქ თქვენმა დედოფალმა მომიწვია გლეხების აჯანყების ჩასაქრობად, და ჩავაქრობ კიდეცა; მაგრამ იცოდეთ კია, რომ ამიერიდან თქვენც სულ სხვაგვარად უნდა მოიქცეთ, ვიდრე აქამდე იქცეოდით. მთავრობა აღარ გაპატიებსთ უღმერთო საქციელს და გაიძულებსთ არ გადასცდეთ იმ ფარგლებს, რა ფარგლებსაც ადათი გიჩვენებსთ ხოლმე.

ეს რომ სთქვა, მიუბრუნდა მდივანბეგს და ჰკითხა – ამ ხალხში ხომ არ ურევია აქ დამსწრე მებატონეების გლეხებიო? და როცა მდივანბეგმა უპასუხა, დიახო, გენერალმა მიქავას უბრძანა – წინ წამოდგნენ ეს გლეხებიო.

– აი, თქვენი ბატონები, – უთხრა კოლუბიაკინმა ამ უკანასკნელთ (ას კაცამდე მოგროვდა), – ისევ იმათვე დაუბრუნდით და იგივე გააკეთეთ, რაც აქამდე გიკეთებიათ მათთვის. იცოდეთ, რომ კანონი უსამართლობისაგან დაგიფარავსთ. თუ დაგჩაგრესთ, მიდით თქვენის დედოფლის მიერ დაყენებულ მდივანბეგთან, თუ მდივანბეგმა დაგჩაგრათ, დედოფალს შესჩივლეთ მის უკანონო საქციელის შესახებ. გახსოვდესთ, რომ ყოველი ურჩობისათვის მძიმედ დაისჯებით.

– ახლა მობრძანდით ამ მებატონეებთან და გლეხებთან, – მიუბრუნდა ისევ მდივანბეგს კოლუბიაკინი, და თვალყური ადევნეთ, ყველა თავთავისას დაბინავდეს. რამდენიმე ყაზახრუსი გამოგყვებათ და საჭიროების დროს მოგეშველებიან. თქვენ, ბატონო მემამულეებო, გირჩევთ თქვენთან დაბრუნებულ გლეხებს ავად აღარ მოექცეთ, და ვითომ არც-კი ყოფილა თქვენს შორის უთანხმოება რამე. ახლა შურისძიების დრო არ არის, ეცადეთ, რაც შეიძლება, ტკბილათ მოეპყარით. მაშ წაბრძანდით!

ურიადნიკი და რამდენიმე ყაზახ-რუსი ამ ჯგუფს შეუერთდა. ჯგუფმა მდაბლათ დაუკრა თავი, იქიდან დაიძრა და თვალთაგან მიეფარა ყველას.

– ახლა ყველამ კარგათ დამიგდეთ ყური, – სთქვა ბოლოს გენერალმა. – თქვენი კრება ახლავე უნდა დაიშალოს. თქვენ-თქვენსა წადით და თქვენ-თქვენს ბატონებს პატივება სთხოვეთ; უთხარით, რომ მე გამოგგზავნეთ და რომ თვალყურს ვადევნებ თქვენს ურთიერთობას. შენ, მიქავა, გიბრძანებ აუხსნა ყველაფერი ეს გლეხებს და ჩააგონო, რომ რაც ახლა ვსთქვი, ყველაფერი დაუყოვნებლივ უნდა აასრულონ; გლეხები ერთმანეთისათვის მიცემულ ფიცისგან გამინთავისუფლებია, ახლა თითოეული მათგანი დამშვიდებულის სინიდისით დაბრუნდეს შინ და შეუდგეს თავის მოვალეობის ასრულებას.

ხალხი სწრაფად დაიშალა მინდორზე და თავ-თავიანთ ცოლ-შვილიანათ შინ წასასვლელად მზადებას შეუდგნენ.

*გაგრძელება იქნება*

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რა იცი შენი მშობლიური სამეგრელოს შესახებ? სამეგრელო

ოდითგან ცნობილია ის ჭეშმარიტებაც, რომ უძველესი კოლხეთი – დღევანდელი სამეგრელო – ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი და აკვნის დამრწევი გახლავთ. ლიხსიქითა და ლიხსაქეთა გაერთიანებული საქართველოს სახელმწიფოს მატიანე დაიწყო მაშინ, როცა, ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე, მე-4 საუკუნის მიწურულს ქართლის მეფე ფარნავაზ პირველი ნოქალაქევის რეზიდენციაში ეწვია მასზე ასაკით ბევრად უფროს ეგრისის მეფე ქუჯის და მათი სამეფოების გაერთიანების იდეა შესთავაზა. მაშინ, ბრძენმა მეფე ქუჯიმ თანხმობა განაცხადა ამ წინადადებაზე, აღიარა ასაკით უმცროსი ფარნავაზის პირველობა და საქართველოს გაერთიანებული სამეფოს გვირგვინიც მას დაუთმო. შემდეგ ფარნავაზმა და ქუჯიმ ერთობლივად მიიმხრეს ოსები, დაღესტნელები, ბერძნები, ასევე ერთობლივი ძალით დაამხეს ქართლის დამპყრობელი აზო და სათავე დაუდეს ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს არსებობას. ამის შემდეგ, განვლილი 24 საუკუნის მანძილზე, არასოდეს განდგომია სამეგრელო საქართველოს ერთიანობისა და ძლიერების საძირკველს, მეგრელმა კაცმა კი ბერძნულ და ქართულ ენებს შორის ღვთისმსახურების ენად ქართული აირჩია და, ასევე, სახელმწიფო ენად აღიარა იგი. ამრიგად, სწორედ კოლხეთი გახლდათ ერთიანი ქართული სახელმწიფოებრიობის მძლავრი საწყისი, სწორედ სამეგრელოში, რიონის ნაპირებთან იჭედებოდა მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი მონეტა - კოლხური თეთრი, აქვე არსებობდა აკადემია და რიტორიკული სკოლა. როგორც ქართველი პოეტი ვახტანგ ხარჩილავა თავის ერთ-ერთ ნარკვევში ამბობს: **„საკუთარი მეგრული ენის ზოგადქართული იდეალებისათვის მსხვერპლად შეწირვა ის ნებაყოფლობითი აქტი იყო, რომელზეც დაფუძნდა შემდგომში ქართული სახელმწიფოს შენობა".**

მაგრამ, ამგვარი მსხვერპლშეწირვა სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ მეგრელ კაცს საკუთარ მეობაზე, საკუთარ სახეზე, საკუთარ ენაზე ეთქვა კატეგორიული უარი. სწორედ ამიტომ, დღეს საქართველოში მეგრულ ენაზე მეტყველებს დაახლოებით ერთი მილიონი ადამიანი და თამამად შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ისინი საუბრობენ გამართული, ისტორიულად მრავალჭირნახული, ყოვლისმომსწრე და მრავალ გარეშე თუ შიდა მტერთან ჭიდილში გამარჯვებული ქართული ენით, რადგან მშობლიურ ენას შეისწავლიან ქართული ენის მასწავლებლებისა და აკადემიური ქართული ლიტერატურის მეშვეობით, და არა სოფლის ორღობეებში, სადაც არც თუ იშვიათად ჭარბობს ხოლმე კუთხურობის ელემენტები და ზეპირსიტყვიერების კნინობითი ფორმა. ამიტომ, ქართველი ადამიანი, რომელმაც ქართულთან ერთად მეგრულიც იცის, უეჭველია, იმ კაცზე კარგად ფლობს ქართულს, ვინც ქართული კი იცის, მაგრამ, მეგრული - არა.

**„მეგრული დღეს სალაროა ნამდვილი ქართული სიტყვებისა, აღმოსავლეთ საქართველოს დაჰკარგვია ნამდვილი ქართული სიტყვები, მათ ნაცვლად თათრულ-სომხურ-სპარსული შემოუღია, რომელიც ქართველის ყურს ცუდად ეჩხირება და გულსა სწყენს. მეგრულ ენაში კი შემონახულან ობოლ მარგალიტებად ის ძველი სიტყვები... ჩვენ ვურჩევთ ჩვენს მწიგნობრებს, მეტი ყურადღება მიაქციონ მეგრულს, რომ იქიდან ამოკრეფილი სიტყვებით შეივსონ დღეს მათი შელახული ავტორიტეტი."** ეს სიტყვები ცნობილ ქართველ მგოსანს აკაკი წერეთელს ეკუთვნის, **რომელმაც შემდეგ ლამაზ ლექსად დაადასტურა თავისი მოწიწება და სიყვარული საქართველოს ერთიანობის ბურჯად ქცეული ყოველი კუთხისადმი: „ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო, სხვადასხვა კუთხის შვილები, ოდელა, დელა, დელაო"**.

მრავალმა ქართველმა და საქართველოს სტუმარმა შემოქმედმა უძღვნა ლამაზი სტრიქონები სამეგრელოს, მის ლამაზ, შრომისმოყვარე, რაინდული სულის მქონე ხალხს და მათი ცხოვრების წესს, კოლხეთის გაუმეორებელ ბუნებას, სულშიჩამწვდომ ნაღვლიან მეგრულ სიმღერებს. ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში სამეგრელოს ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ ფენომენალურ მხარედ მოიხსენიებდნენ თავის ჩანაწერებში ცნობილი იტალიელი მისიონერები და მკვლევარები არქანჯელო ლამბერტი და მამა ამბროზიო, ცნობილმა რუსმა სახელმწიფო მოხელემ, პროფესიით ლიტერატორმა კორნელი ბოროზდინმა კი სამეგრელოში რამდენიმეწლიანი მუშაობისა და მოღვაწეობის შემდეგ შექმნა უაღრესად საინტერესო საცნობარო ხასიათის წიგნი **„სამეგრელო და სვანეთი"**, სადაც აშკარად იგრძნობა საქართველოს მდიდარი ტრადიციების მქონე კუთხის მოსახლეობის მენტალიტეტისა და აქაური ადათ-წესებისადმი პატივისცემა და მისი ღრმა ცოდნა. შემთხვევითი არ გახლავთ უცხოელთა ამგვარი ინტერესი საქართველოს ამ ულამაზესი კუთხისა და თავად მეგრელებისადმი. საქართველოს ერთ-ერთი შესანიშნავი მხარის, მისი მკვიდრი მოსახლეობის ერთგულებაზე წინაპართა ტრადიციებისა და ისტორიულად დამკვიდრებული ადათ-წესების მიმართ მეტყველებს ის ფაქტი, რომ უცხოელთა ინტერესი სამეგრელოს მიმართ ოდნავადაც არ შენელებულა და პირიქით – დროთა განმავლობაში სულ უფრო და უფრო იზრდება. აქ აუცილებლად მიგვაჩნია, რომ უფრო დაწვრილებით მოვუთხროთ მკითხველებს სამეგრელოში ევროპელ მისიონერთა მოღვაწეობის თაობაზე.

საერთოდ, ცნობილია, რომ კოლხეთი ოდითგან მიისწრაფვოდა ევროპული ფასეულობებისკენ. მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში სამეგრელოს სამთავრომ ძლიერების ზენიტს მიაღწია, რაც ფრიად ნიჭიერი, შემოქმედებითი აზროვნების უნარით დაჯილდოებული მთავრის ლევან მეორის ნაყოფიერი პოლიტიკური და ეკონომიკური მოღვაწეობის შედეგი გახლდათ. მას ქვეყნის პოლიტიკური და სამხედრო ძლიერების საფუძვლად ევროპის ქვეყნებთან ნაყოფიერი პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობების გაღრმავება მიაჩნდა. ამიტომაც, იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა კოლხეთში და მთლიანად საქართველოში კათოლიკე მისიონერთა მოღვაწეობას.

პირველი კათოლიკე მისიონერები სამეგრელოში მისი მოწადინებით ჩამოსულან, რაშიც მას დიდად ეხმარებოდა საფრანგეთის ელჩი კონსტანტინეპოლში ბარო სანჩუსი. ეს მისიონერები იყვნენ იეზუიტი ლუი გრანჟე და ეტიენ ვიო.

ლევან დადიანის კონტაქტს საფრანგეთის ელჩთან, გარდა პირადი მეგობრული ერთიერთობისა, გარკვეული პოლიტიკური დატვირთვაც გააჩნდა. კერძოდ, ლევან მეორე შეეცადა ოსმალეთთან ზავის დადების საქმეში თავისი ქვეყნის სასარგებლოდ გამოეყენებინა საფრანგეთის ელჩის გავლენა ოსმალეთის სულთნის კარზე. ასევე, ეს კონტაქტი ემყარებოდა მომავალში საფრანგეთთან კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობის შესაძლო განვითარებას. გარდა ამისა, მისიონერები ლამის საფრანგეთის დიპლომატიურ წარმომადგენლებად ითვლებოდნენ.

სამწუხაროდ, იეზუიტ მისიონერთა მოღვაწეობა სამეგრელოში ხანმოკლე გამოდგა. ეტიონ ვიო ქოლერამ იმსხვერპლა, ლუი გრანჟე კი კონსტანტინეპოლს გაემგზავრა და მალევე, 1615 წლის მაისში გარდაიცვალა.

1640 წელს სამეგრელოში ჩამოვიდა დომინიკანელი მისიონერი ჯოვანი ჯულიანო და ლუკა, რომელსაც ლევან დადიანმა შემდეგი სიტყვებით მიმართა: **„კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, რადგან ჩემთვის სასიამოვნოა იტალიელი მღვდლის ნახვა, რომლის ერიც მიმაჩნია ყველაზე განათლებულ ერად მთელ მსოფლიოში"**. მთავრის ეს სიტყვები მარტოოდენ მისიონერის საამებლად როდი იყო ნათქვამი – მისთვის ხომ ვატიკანთან მჭიდრო კავშირი ევროპულ ცივილიზაციასთან დაახლოების რეალური საშუალება გახლდათ. ბუნებრივია, რომ უცხოელი მისიონერები ამ ფასეულობათა მატარებლები იყვნენ და სწორედ მათ ცივილიზატორულ ფუნქციას ანიჭებდა დიდ მნიშვნელობას დადიანი.

1628 წელს გორში მოღვაწეობას იწყებენ თეატინელი მისიონერები. მათ ქართლ-კახეთის მეფის თეიმურაზ პირველსა და დიდი ქართველი დიპლომატის ნიკიფორე ირბახისაგან მიიღეს სრული მხარდაჭერა და 1632 წელს თეატინელ მისიონერთა კონვენტი დააარსეს. ამასობაში ქვეყანაში პოლიტიკური სიტუაცია შეიცვალა, თეიმურაზი დასავლეთ საქართველოში გადავიდა, ქართლის მეფე როსტომ-ხანი გახდა.

მიუხედავად როსტომ-ხანის შეპირებისა, მისიონერებმა უსაფრთხოების გარანტიები ვერ მიიღეს, ამიტომაც გადაწყდა მისიონის გორიდან სამეგრელოს ტერიტორიაზე გადატანა. აქ უკვე გასათვალისწინებელია სომხური პრაგმატული ფაქტორი, რადგან სომეხი ვაჭრები კათოლიკე მისიონერებში თავიანთ კონკურენტებს ხედავდნენ და სავარაუდოა, რომ სომეხთა ინტრიგებმა თუ გავლენამ დააჩქარა მისიონერთა გადაწყვეტილება. მისიონის სამეგრელოში გადატანას ხელი შეუწყო ნიკიფორე ირბახმა. იგი სამეგრელოდან როსტომთან ელჩად მიმავალი შეხვდა თეატინელებს და იცოდა რა ლევანის კეთილგანწყობა მისიონერებისადმი, მათ მფარველობა აღუთქვა.

თეატინელი მისიონერები არქანჯელო ლამბერტი და დონ ჯოზეფო ჯუდიჩე სამეგრელოში 1633 წლის 23 ოქტომბერს ჩამოვიდნენ. მათი აუდიენცია ლევან დადიანთან მერკულაში გაიმართა. როგორც ჩანს, ეს შეხვედრა გაცნობით ხასიათს ატარებდა, ვინაიდან მისიონერებმა, ირბახის რჩევით, სამეგრელოს მთავარს რომის პაპის წერილი მომდევნო, 1634 წლის ივნისში, ზუგდიდის რეზიდენციაში გადასცეს. ლევან მეორემ პატრებს სრული მხარდაჭერა აღუთქვა.

1634 წელს მისიონერებმა მიიღეს ორი ეკლესია სოფელ წიფურიაში, ასევე მიწები, სახლები და მსახურები. მათ კი, უპირველეს ყოვლისა, შეისწავლეს მეგრული ენა, რაც უტყუარი იარაღი გახლდათ ადგილობრივი მოსახლეობის ნდობის მოსაპოვებლად.

მისიონერთა უპირველეს საზრუნავს ადგილობრივი მოსახლეობის სამედიცინო მომსახურეობა წარმოადგენდა, რაც მრავალი სენისა და მკურნალთა დეფიციტის პირობებში მეტად ეფექტური საქმიანობა გახლდათ. ამის გამო, როგორც ისტორიული წყაროები ამტკიცებენ, თვით დადიანიც კი, ავადმყოფობისას **„პატრების გარდა არავის ენდობოდა"**.

მისიონერებმა მტკიცე პოზიცია დაიკავეს საქართველოში ფეხმოდგმული მოსახლეობის გატაცებისა და ტყვედ გაყიდვის სამარცხვინო ინდუსტრიის წინააღმდეგ. მათ მიერ გაწეულმა პროპაგანდამ ამ მხრივ დადებითი შედეგი გამოიღო და თუ იმ პერიოდის ჩანაწერებს დავეყრდნობით: **„ყველა შიშით მოცული, ტყვეობიდან გამოქცეული თუ გამოსყიდული ადვილად მოექცნენ პატრების გავლენის ქვეშ"**.

გარდა ამისა, მისიონერები მართავდნენ საჯაროდ კათოლიციზმის სწავლებას. თუ როგორ და რა ფორმით მიმდინარეობდა ეს პროცესები, უცნობია. სავარაუდოდ, მისიონერები ახდენდნენ მოსახლეობის იდეოლოგიურ დამუშავებას და მისაწვდომ ფორმებში უნერგავდნენ მრევლს კათოლიკურ დოგმატებს.

საქართველოში მოღვაწე მისიონერთა რეკომენდაციით, კოლეჯში, სადაც მისიონერებს ამზადებდნენ, გამოიყო ორი ადგილი სამეგრელოს მისიონისათვის. აქ უსწავლიათ ორ ახალგაზრდას: ანტონსა და ანდრიასეს. ეს უკანასკნელი, რომელიც მეტად ნიჭიერი ყოფილა, ადრე გარდაცვლილა, მეისტორიის გადმოცემით კი **„ანტონი ის პირველი ქართველია, რომელმაც რომში საჯაროდ დაიცვა დისერტაცია ღვთისმეტყველების დარგში"**.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ლევან დადიანმა რელიგიური პოლიტიკა აირჩია შეგნებულად და მისიონერებისადმი მფარველობითი ურთიერთობა მიზნად ისახავდა ევროპასთან კულტურულ და სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა დამყარება-რეალიზაციას.

ლევან მეორე დადიანმა ნიკიფორე ირბახთან და კათოლიკე მისიონერებთან ერთად შეიმუშავა პროექტი, რომელიც გახლდათ ევროპის ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობათა განვითარების ძირითადი კონცეფცია. ამ პროექტით საქარავნო-სავაჭრო გზას ოდიშის სამთავროზე უნდა გაევლო. მთავრის ვაჭრებს უნდა მოეზიდათ საქონელი სპარსეთიდან ოდიშამდე, რაც **„ნახევარ ფასზე უფრო იაფი"** დაჯდებოდა, ვიდრე იგივე საქონლის სპარსეთიდან ალეპომდე გადატანა. ამ საქონელს ასევე ხელსაყრელ ფასად მიჰყიდდა ევროპელ ვაჭრებს, ისინი კი შავი ზღვისა და უკრაინა-პოლონეთის გავლით ევროპაში გადაიტანდნენ. ევროპელ ვაჭართათვის აქ მთავარი დამაინტერესებელი იყო გზის სიმოკლე და საქონლის სიიაფე. დიდი მოგება უნდა ენახა მთავრის ხაზინას და მის ვაჭრებსაც, ეს კი მნიშვნელოვნად აამაღლებდა სამთავროს ეკონომიკას. დადიანი ასევე დებდა პირობას, რომ ევროპელ ვაჭართა მოთხოვნილებას ადგილობრივი წარმოების აბრეშუმით დააკმაყოფილებდა და მხოლოდ ნაწილი იქნებოდა ირანული.

**რ. შალამბერიძე**

**იცი თუ არა შენ, რომ მეგრულ ენაში ადამიანთა მოდგმის შვიდ თაობას გააჩნია კონკრეტული სახელი.**

კაცების ხაზით:
სქუა – *შვილი,*
ბაბა – *მამა,*
ბაბუ – *ბაბუა,*
პაპუ – *ბაბუის მამა,*
ჯამა – *ბაბუის ბაბუა,*
შამა – *ბაბუის ბაბუის მამა,*
იმპ – *ბაბუის ბაბუის ბაბუა.*

ქალების ხაზით:
სქუა – *შვილი,*
დიდა – *დედა,*
ბები – *ბებია,*
დადი – *ბებიას დედა,*
დიშდადი – *ბებიას ბებია,*
დაშდიდი – *ბებიას ბებიას დედა,*
ნანა – *ბებიას ბებიას ბებია.*

ჩაგვაწერინა ბატონმა ვლადიმერ ჩარგაზიამ (იბერ ბედიანი).



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ხსოვნის სტრიქონები

ნაწყვეტებს მეგრულ ენაზე შექმნილი ისტორიული პოემიდან "ბულათია", რომლის ავტორი გახლავთ თავდადებული მამულიშვილი და ჭეშმარიტი პოეტი დანიელ პავლეს ძე ფიფია, გთავაზობთ გაზეთ "ილორში". 113-ე წელი ილევა პოეტის დაბადებიდან. იგი 28 წლის ასაკში შეიწირა პოლიტიკურმა უამინდობამ – სამშობლოს სიყვარულით გამსჭვალული გულანთებული პატრიოტი 1924 წლის თებერვალში დააპატიმრეს იმის გამო, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის დროს იყო ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის პასუხისმგებელი პროპაგანდისტი. დაპატიმრებისას დანიელ ფიფია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესამე კურსზე სწავლობდა.

დანიელ ფიფია

## ბულათია

უტუ
მუს რაგადა!.. მუქ იყუ!
გაჭირება მურე ფერი!?
სი სო ღურუქი ჩქიმი ჯიმა
მა თექი ბღურუქდ დამიჯერი!
მუქ გაღოლ?.. მუქ მორხვად?
მუგოჭგ დუდიში ოყვილარი?
ვარა მურე ჩქიმი წკალა
სამორდებო, ოფულარი?!
ბულათია
ქოიჩქ ეჩი წანა ქორე
ობუჯი გურიელხეს უღუ,
შურიში ღალა მიჭირანი
ქიგებდგესგ ფერი უღუ.
ჯვეშოთი ჰამას ვავორდით,
ასე ქელეფხვითგ გვალო;
თე ოსური გერჩქინელე
ჩქინი ხორციშ მაჭკუმალო.
ოდიში ხეს გიგოჭარგ
სი ვაიჩქგნ ფერი მურე –
ყუჯიში ქვინც მუ ირთუნი
გიჩქუ, ესგ მუ აწურე.
კოჩი იში ნაწვალებუ
არძა გიჩქგ მუდა ღურე;
ასე მუში ლაკარტეფი
ქაართინუ ჩქიმი ყურე.
ამჭუანი გოუტე
ოქართეშე ცხენი ვეშა,
მიდგენეფი გოუტებუ
ქოშიბუნა ცხენი ხეშა.
რჩქინგ მორდუ პუნცი სი ქოიჩქ
ფთქუა ჯოღორიაშენი – ქგ-
მაძღირკგ, ვადანებუ
უჩქიმეთუ მითინც ცხენი.
ქოუციის დო გოლახეს...
უტუ
სე თი ბორჯის აბა სორდი?!
ბულათია
საქვარი მიღუდუ შაყარელი
ოჭკადგრეს მულუორდი.
...გულახგნა მარა მუჭო –
ტუნკით რდუ ჩქვაჩქვილი,
ოსარია ზგსხირიშე
ჭითათ რდ ღაფილი.
უტუ
უკული თეში წართი დო
კოცგ გეიშაღურიო,
თხიზინიში მანგიერო
აშო მოლაქურიო!!??
ბულათია
ქუათხოზი, ქგმოვხვადი
ჭაქვინჯური ჯიხაწკალა,
მუყუნდ თუმაში მისქა კოჩი
ფთქვი: "მუს გურძუ ყაზაყალა".
მოუკუნი ჩქიმი დუცუ
ვოჯგუნე თხუალა
უბადორე ზისხგრით
ზისხგრიში რჩხუალა.
ქგდვეჩოქი დო ქოფთხი
დო თინარდგ თეში გამა –
ფარნაოზიქ ქგმოსოფუ
მომინდომუ მა მეგამა.
ვამითვინ თენა გურქუ
აკა წუნდუ ნდემო გობრთი,
ქიგთუოფორი პატგნისქუა
დო სი ქარწყექ, ჰა, სომოფრთი!

*უტუ*
*რაღას ამბობ! თქვი რა მოხდა!*
*რაღა გიჭირს მითხარ ჯერე,*
*სადაც შენა, მეც ვიქნები,*
*იქ მოვკვდები, დამიჯერე!*
*რა შეგემთხვა, რა გადაგხდა,*
*ვის მიუძღვის ცოდო-ბრალი,*
*რა გჭირს თავის საღალატო,*
*ანდა ჩემთან დასამალი.*
***ბულათია***
*იცი, არის ოცი წელი*
*გურიელხე რაც რომ გვმართავს,*
*ობუჯს მისი ბატონობა*
*უსაშველოდ უღლად ადგას.*
*თუ ვიყავით ბედდამწვარი*
*დაგვინაცრდა ახლა სრულად,*
*და ეს ქალი გაჩენილა,*
*რომ შეგვჭამოს ხალხი სულაც.*
*ოდიში ხელს გაწერია*
*არ იცოდე, აბა რაა?*
*რა ტრიალებს ყურისძირში*
*არ გესმოდეს რაღა თქმაა.*
*ხალხი მისგან იხოცება*
*არ ეძლევა იცი ლხენას.*
*ახლა იგი შხამის ისრებს*
*მოაღირებს აქ ჩემსკენა.*
*მე ამ დილით რომ ჩავუშვი*
*ცხენი ჩემთავ სათიბეში,*
*არაკაცნი დაასია,*
*მოუგდიათ იგი ხელში.*
*ბერი მორდუ ჯოღორია*
*გამოუჩნდათ წინამდეგი,*
*ნებით რომ არ დაუთმია*
*უცემიათ მაგრად კეტით.*
***უტუ***
*და შენ ამ დროს სად იყავი?!*
***ბულათია***
*საქმე მქონდა დაგროვილი*
*სამჭედლოში დავრჩი ხანი.*
*...უცემიათ, მაგრამ როგორ –*
*გაუმართეს სიგრძე-განი.*
*ისე მწარედ ნაჟეჟია,*
*ვერ იხარებს თავის დღეში,*
*პერანგი მთლად შეეღებათ*
*დანადენი სისხლის შხეფით.*
***უტუ***
*მითხარ, აბა, როგორ წახდი*
*ის ხელიდან რომ გაუშვი,*
*მაგიერის მიზღვის ნაცვლად*
*შენ აქეთკენ ვით მოუსვი!?*
***ბულათია***
*დავედევნე, დავეწიე,*
*შეხლა იყო უაზრობა,*
*თმის სიმრავლე კაცთა შორის,*
*ვთქვი, რას გავა ვაჟკაცობა.*
*თავი ჩემი მოვთოკე და*
*წავიმძღვარე თხოვნა თანა.*
*სიავეა სისხლის სისხლით*
*გადარეცხვა, გადაბანა.*
*დავუჩოქე და შევთხოვე*
*სამართალის მქონდა ნდომა,*
*ფარნაოზი მოვარდა და*
*უღვთოდ ცემა მომინდომა.*
*გულმა ველარ მომითმინა*
*იმავ წამსვე ვიქეც დევად,*
*ფარნაოზი ძირს დავეცი*
*და, ჰა, ხედავ სად მოვედი.*

# მ ა ფ ა ლ უ

**"მაფალუ"** ნიშნავს საწყისს, რომელიც მოწოდებულია გაფურჩქვნა-აყვავილებისათვის. იგი მეგრელმა ეროვნულ-დემოკრატმა პატრიოტებმა სტ. გაგუამ, მ. კანკავამ და სხვებმა უწოდეს მათ მიერ 1918-1919 წლებში შექმნილ ჯგუფს, რომელსაც მიზნად დაუსახავს სამეგრელოს კულტურული დაწინაურება. მათ მიზანდასახულობაში მოწინააღმდეგე სამთავრობო და ოპოზიციური პარტიის დამფრთხალი გონების პატრიოტების წარმომადგენლებმა **"აღმოაჩინეს"** სამეგრელოს ავტონომიის მისწრაფების დაარსების მცდელობა და ჩაუხშვეს გაშლის შესაძლებლობა.

ოკუპირებული (გასაბჭოებული – **გ.ც.**) საქართველოს ახალი ადმინისტრაციული მოწყობის მცდელობის და ავტონომიების დემაგოგიური მშენებლობის გავლენით, მდინარე ჩხოუშის სანაპიროზე, (მცხოვრებ – **გ.ც.**) ზუგდიდის კომუნისტმა და უპატრიო ინტელიგენტების ერთმა ჯგუფმა (მშობლიური კუთხის სიკეთისათვის – **გ.ც.**), მოითხოვა სამეგრელოს ავტონომიური ოლქი, მეორემ – ავტონომია საქართველოს ფარგლებში. მათი საერთო ინტერესი გულისხმობდა სამეგრელოს მოსახლეობის ძირითადი მასის ურთიერთობის ერთადერთ საშუალების, მშობლიური მეგრული დედაენის, ძირეულ დონეზე (წარმოება-დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში (ანუ კოოპერატივებში – **გ.ც.**), სასამართლოებში და დაწყებით სკოლებში) ფუნქციონირებას და სახელმწიფოებრივ-ლიტერატურული ქართული ენის არმცოდნე უშუალო მწარმოებლებისათვის ელემენტარული საინფორმაციო საშუალებების (გლეხური გაზეთის, ფურცლების და ბროშურების) გამოცემის უფლებას.

აღნიშნული ტენდენციები ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ (ავტონომიის მარქსისტულ გაგებასთან შეუთავსებლობის გამო – **გ.ც.**) გაიგო როგორც ზეპარტიული მეცადინეობა, ყალბად გააიგივა ცარიზმის რუსიფიკატორ იანოვსკი-ვოსტორგოვთან და მათ **"აგენტ", "აფერისტ"** თ. აშორდიასთან, და ასევე ყალბად დააკავშირა ვითომ აუგი მისწრაფების **"მაფალუსთან"**. ხელისუფლებამ, ამავე დროს, აღიარა, რომ სამეგრელოს ცხოვრების თავისებურების გამო **"რაიმეს"** მიცემას უპირებდა. ეს **"რაიმე"** 1923 წელს გარკვეული სახელისუფლებო პროექტების სახით მართლაც გაცხადდა. მაგრამ საკუთრივ წაქეზებული ინიციატივები, მათ შორის სამეგრელოს ოლქი და სამეგრელოს ავტონომიური ერთეულის მთხოვნელები, ორივე დიდ ეროვნულ საშიშროებად გაასაღა და ორივეს მოუსპო თვითშემოქმედების შესაძლებლობა. მან ამით **"ავტონომისტებში"** (სეპარატისტული საჩივრების სახით – **გ.ც.**) გამოიწვია ერთეულ პირთა ექსტრემიზმი და დაუმორჩილებლობა.

ხელისუფლების ბოლშევიკურ-ჩეკისტური ხელმძღვანელობის წარმომადგენლებმა, მათთვის მიუღებელ **"ჩხოუშიელთა"** ყველა ტენდენციას, იოლი დაძლევის მიზნით, დაუპირისპირეს იგნორირების, გაბიაბრუების, ძალის და მეგრელების დანარჩენ ქართველებთან სწრაფი შეზელის პრაქტიკა. სამეგრელოს სპეციფიური ცხოვრების რელობიდან გამომდინარე ტენდენციები გამოაცხადეს (ვითომ ადრე არსებული ინტიქართული – გ.ც.) **"ადგილობრივი მეგრული ნაციონალიზმის", "მაფალუელობის"** (მემკვიდრე – გ.ც.) ძირითად მიმდინარეობად. **"ავტონომისტების"** მოწინააღმდეგეები, **"მეგრული საკითხის"** სამართლიანად მოგვარებისათვის მებრძოლი ზუგდიდის სამაზრკომი და მისი მდივანი ისაკი ჟვანია, შერაცხეს ე.წ. **"მაფალუელების"** (ანუ ავტონომისტ-საპარატისტების – გ.ც.) მფარველად, საკითხის სამართლიანი მოგვარების ნაცვლად ინტრიგა და დევნა გააჩაღეს არა მარტო საჩოთიროდ მოაზროვნე (სეპარატისტული საჩივრების ავტორთა – **გ.ც.**) პიროვნებების, არამედ აგრეთვე, ეროვნულის შემავსებელი მეგრული პატრიოტიზმის წარმომადგენელთა მიმართ. ზოგი მათგანი დაარბიეს, ზოგი კი – მსხვერპლად შეწირეს 1937 წლის დიდი ტერორის პოლიტიკას.

ყალბად შეთითხნილი **"ადგილობრივი მეგრული სეპარატიზმი"** და ე.წ. **"მაფალუიზმი"** პოლიტიკანებისთვის იმდენად ხელსაყრელი საფრთხობელა გამოდგა, რომ მას ყოველთვის უნარჩუნებდნენ ინერციის ძალას და სახმარ ღირებულებას. საქართველოს სატკივარის გამო მეგრელების ამოკვნესას ზოგი პოლიტიკანი ახლაც აცხადებს **"პროვინციულ ფაშიზმად", "მეგრული ნაციონალიზმისა"** და **"მაფალუიზმის"** გამოვლინებად. ისინი ამით აღვივებენ შიდაეროვნულ უნდობლობას, იხანგრძლივებენ ყალბ ავტორიტეტსა და თანამდებობრივ მდგომარეობას.

მონოგრაფია მიზნად ისახავს, პრობლემის შესახებ არსებული ყველა ხელმისაწვდომი წყაროს გამოყენებით და სათანადო პუბლიკაციების კრიტიკული შემეცნება-ანალიზით, გააშუქოს სადღეისოდ ნებსით თუ უნებლიეთ გაყალბებული **"მეგრული საკითხისა"** და **"მაფალუს"** ნამდვილი ისტორია.

სპონსორის დახმარების შემთხვევაში შესაძლებელია წიგნის მოკლე ხანში გამოცემა.

ამით შევეცადე მეჩვენებინა, რომ **"მაფალუს"** და **"მეგრული საკითხის"** სახელმწიფოებრივ-პოლიტიკანურად გაყალბებული ისტორიით თანამედროვე სამეგრელოს საკითხების ახსნას და პოლიტიკით დაინტერესებული ჩვენი თანამედროვე ავტორების მიერ **"მაფალუს"** ყალბი ისტორიის პროვოკაციულ გამოყენებას მეცნიერული საფუძველი არ გააჩნია. მაგრამ თეზისებად თქმულის წიგნად გამოყენება არ მომიხერხდა, პრობლემა კი დარჩა.

მხოლოდ ანოტაციით და ზეპირი საუბრით ჩემი ერთი მეგობარი მწიგნობარიც კი ვერ დავარწმუნე, რომ **"მაფალუს"** და **"მეგრული საკითხის"** ისტორია თავიდან ბოლომდე მიზნობრივად ჯერ კიდევ საბჭოთა 20-30-იან წლებში გაყალბდა. ამ გაყალბებულად წარმოჩენილ ისტორიას ახლაც ეყრდნობიან და იყენებენ სამეგრელოში ხელისუფლების საწინააღმდეგო სამართლიანი და საპროტესტო გამოვლინებების გასაყალბებლად. ეს ჩემი აზრი შეიძლება დამატებით წარმოვაჩინო ირაკლი თოდუას და ალექსანდრე ჭაჭიას საფუძვლიანი განცხადებით. ირაკლი თოდუას აზრით, **"ის ფაქტი, რომ ამ კუთხეზე** (სამეგრელოზე – გ.ც.) **ტკივილით საუბარიც კი ხშირად არაადექვატურად აღიქმება, განსაკუთრებულ დაფიქრებას მოითხოვს; სერიოზულ დაფიქრებას მოითხოვს ისიც, რომ სამეგრელოზე საუბრისას ბევრ ჭეშმარიტ პატრიოტ მოსაუბრეს აქვს კომპლექსი – არიქა, ვინმემ სეპარატისტის იარლიყი არ მომაკეროსო..."** (**"ასავალ-დასავალი"**, 2001, 221-27 მაისი).

სათანადო წერილებიდან ჩანს, რომ ცნობილი პოლიტოლოგის, ალექსანდრე ჭაჭიას მიერ 2001 წლის 12 ოქტომბერს, ქალაქ ზუგდიდში სახალხო მოძრაობა **"სამეგრელოს"** ყრილობაზე დელეგატების წინაშე მოხსენების დროს გამოთქმული სატკივარის გამო, ოფიციოზმა და მათმა დამქაშებმა უკიჟინეს **– "სეპარატისტი ხარ და შენი გადამეტებული ყურადღება სამეგრელოს მიმართ იმის მიმანიშნებელია, რომ სამეგრელოს საქართველოსათვის ჩამოშორება გსურსო"** და **"ვიღაცეებმა ეს ნაბოდვარი დაიჯერეს და შავი პიარი ააგორეს ქვეყნის მძიმე მდგომარეობით შეჭირვებული პოლიტოლოგის მიმართ"**, იძულებული გახადეს განემარტა, რა არის მისი ჭეშმარიტი მიზანი. **"თქვენთვის კარგად არის ცნობილი, – წერს ა. ჭაჭია, – რომ სამეგრელოს პრობლემებზე, სამეგრელოს მოსახლეობის გაჭირვებულ მდგომარეობაზე, სამეგრელოს პერსპექტივებზე ნებისმიერი მსჯელობა გარკვეულ წრეებში იწვევს ბრალდებას სეპარატიზმში, თვით სიტყვაც კი "სამეგრელო", ზოგიერთის ავადმყოფურ აზროვნებაში სეპარატიზმთანაა დაკავშირებული. ამ სენმა ისეთი გავრცელება ჰპოვა, რომ თვით მეგრელებიც კი ერიდებიან სამეგრელოს სავალალო მდგომარეობაზე, მეგრულ კულტურასა თუ სპეციფიკაზე საჯარო საუბარს, ამ ბრალდების თავიდან ასაცილებლად. მეტიც, ამ ბრალდებებმა ჩვენს ხალხში თავისებური არასრულფასოვნების კომპლექსიც კი ჩამოაყალიბა. ჩვენ იძულებული ვართ, სულ ვუმტკიცოთ ვიღაცას, რომ ვართ ქართველები, რომ მთელი საქართველოს ტკივილი ისევე გვტკივა, როგორც ჩვენი კუთხის, ჩვენი ოჯახის სატკივარი. ამას ვუმტკიცებთ უმეტეს შემთხვევაში სწორედ იმ ხალხს, იმ ადამიანებს, ვინც თვითონ წლების განმავლობაში ანგრევს ამ ქვეყანას და ყველაფერს ქართულს სპობს"...**

გიორგი ციციშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამეგრელო და სვანეთი




ამ წიგნის ავტორის, კორნელი ბოროზდინის სამსახურეობრივი კარიერა კავკასიაში დაიწყო. იგი ჯერ მთავარმართებლის კანცელარიაში მუშაობდა, შემდეგ კი (1854 წელს) სამეგრელოს დედოფალთან მიავლინეს მიწერ-მოწერის საწარმოებლად და მისი შვილების აღმზრდელად. 1858 წელს დაინიშნა სენაკის ოლქის უფროსად, სადაც 1867 წლამდე იმსახურა. სწორედ აქ გაეცნო იგი სამეგრელოს მოსახლეობის ყოფას, რომელიც საინტერესოდ აღწერა თავის წიგნში.
ბოროზდინის მოგონებებში საკმაოდ ვრცლად არის გადმოცემული ოსმალეთის ჯარების მიერ სამეგრელოს აწიოკება, რომელიც შემდეგ რუსმა ჯარისკაცებმა ალაგმეს.

## კორნელი ბოროზდინი

გენერლის უკანასკნელ სიტყვებზე არც თუ შრიალი, არც თუ ჩურჩული მოჰყვა ხალხში, და ამ ბგერებისგან შესდგა რაღაც საცოდავი, მკვნესარე გამმა.

გენერალმა ისე გაიგო – ალბათ ჩემს ნათქვამზე დრტვინვა შეჰქმნესო და დაუყვირა:

– ჩუმათ! თუ ერთი კრინტი დაგიძრავთ, ვუბრძანებ, გესროლონ!..

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. ამ დროს ხალხის დუნდგოდან წამოდგა თოვლივით თეთრად გადაპენტილი თმაწვერა მოხუცი, მივიდა გენერალთან, მის ცხენს ფეხებზე მოიხვია და ხმამაღლა შეჰღაღადა – წყალობა მიყავ და მალაპარაკეო.

– გვესროლე, გენერალო, როგორც წყალობას, ისე გთხოვთ. ათას წილ გვირჩევნია დავიხოცნეთ, ვიდრე ამ მდგომარეობაში დავრჩეთ, როგორშიც ახლა ვართ. შენი აქ, ამ მთაზე გამოჩენა, სასწაული გვგონია, ისე მოგვევლინე, როგორც მხსნელი ანგელოზი ღვთისა... შენ რომ არ მოსულიყავი აქ, ჩვენ თვითონ მოვიდოდით შენთან, იმიტომ რომ ქუთაისისკენ მოვდიოდით, ცხენის-წყალს გაღმა, სწორედ შენთან. ბევრი რამ გაგვიგონია შენზე, შენს სამართლიანობაზე. ცხენის-წყალს გამოღმა სამართალი არ არის, სამართალი მხოლოდ გაღმაა და ჩვენც იმისკენ მოვდიოდით.

ხალხს მოეწონა მისი ნათქვამი და მოისმა ხმები:

– მართალია, მართალი!

მოხუცმა განაგრძო:

– და აი, ახლა, როცა შენ ჩვენს წინაშე ბრძანდები, ჩვენ შენის ბრძანებით კი არა, ჩვენის ნებით ვემხობით პირქვე და გეხვეწებით: გვესროლეთ! თუ კი ღმერთმა, ვენაცვალე მის დიდებას, პირი გვარიდა, გვირჩევნია ერთ დღეს გავსწყდეთ, ვიდრე ნელ-ნელა ვიტანჯოთ; მაგრამ სანამ გვესროდე, გენერალო, შენი მუხლების ჭირიმე, მოგვისმინე...

მოხუცი ამის თქმაზე მიწაზე დაემხო. მთელმა დუნდგომ იმას მიჰბაძა და იგივე ქნა.

– კარგი, მოგისმენთ. მინდა გავიგო, რა სამართალს ეძებდით ცხენის-წყალს გაღმა, მაგრამ გაფრთხილებთ, მე მინდა სიტყვაშეუბრუნებლად ემორჩილებოდეთ დედოფალს.

გენერალმა ეს რომ სთქვა, ცხენს შემოჰკრა, შარაგზიდან გადმოუხვია და ერთ ხშირტოტებიან ხესთან მივიდა. ყაზახრუსებმა დასაჯდომი გაუკეთეს და იმანაც იქ მოიხმო ხალხი.

– აბა, სთქვი, გისმენთ.

რამდენსამე კაცმა ერთად დაილაპარაკა.

– ჩუმად! – დაიყვირა ისევ გენერალმა, – ამოირჩიეთ ერთი, და იმ ერთმა ილაპარაკოს.

– მიქავა, მიქავა... – გაისმა ყველა მხრიდან; – შენა სთქვი, მიქავა...

კოლუბიაკინმა მიქავა მოიხმო. და როცა ეს მივიდა დიდის მოწიწებით და მუხლებზე დაეშვა, კოლუბიაკინმა უბრძანა ამდგარიყო და ელაპარაკნა. მიქავამ შეშინებულის ხმით დაიწყო ლაპარაკი, მაგრამ თანდათან სიმხნევე ემატებოდა.

– ამ ერთს წელს წინად, ჩემო ბატონო, ჩვენს ქვეყანას, ოსმალთა ჯარი შემოესია, მტერმა გაანიორწყლა ყველაფერი, რაც ხელში მოხვდა. შველა არსაიდან გვქონია; რუსის ჯარმა თავი დაგვანება, ხოლო ჩვენი ბატონები, იმის მაგიერ რომ დავეფარენით, ბიჭებსა და გოგოებსა გვტაცებდნენ და ოსმალებზე ჰყიდდნენ. აუარებელი წაასხეს ოსმალებმა ოსმალეთში. ოსმალები წავიდნენ და ჩვენი ბატონები წინანდელზე უარესად, ოსმალებზე უარესად, მოგვდგნენ. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ მთელი ჩვენი შრომის ნაყოფი იმათა რჩებათ; მათ რომ კაცმა ჰკითხოს, გლეხს არაფერი უნდა ჰქონდეს, და რაც მათ აბადია, ყველაფერს ართმევენ და თუ მოხერხებით არა, ძალით მაინც. ჩვენ ამას შევეჩვიენით. ამას კიდევ თქვენი ჭირი წაუღია, საქმე ის გახლავთ, რომ ამბობენ, ვითომ ჩვენ ადამიანის სულიც კი არ უნდა გვედგასო. მათის აზრით, რა პირუტყვი გნებავსთ, ჩვენ არა გვჯობდეს! ვსთქვათ, ბატონს მეზობლის მიმინო მოეწონა, ადგება და ერთ კომლ გლეხს აძლევს მეზობელს, ოღონდ კი იმან ეს მიმინო დაუთმოს; მწევრის ან მეძებრისათვის რამდენსამე კომლს აძლევს. პირუტყვები უფრო მეტად ფასობენ, ვიდრე ადამიანები. აქავე, ყურიძირში, ცხენისწყალსა და რიონს გაღმა, ადამიანებს ასე როდი ეპყრობიან. ჩვენ ვიცით, რომ იქ პირუტყვზე დაბლა არ აყენებენ, რომ იქ არსებობს კანონი და სამართალი. ნეტავი რა დავაშავეთ ასეთი ღმერთთან, რომ ჩვენთანაც ისევე არ არის? როცა ბატონს თავისას ვაძლევდით, მხოლოდ იმასა ვთხოვდით – ისე მოგვქცეოდნენ, როგორც ამას ჩვენი ძველი, ჩვენთა მამა-პაპათა მიერ დადგენილი, ჩვეულება მოითხოვდა. მაგრამ ამ წმინდა ჩვეულებას მებატონეებმა, დიდი ხანია, ფეხი დააბიჯეს, უგულვებელ ჰყვეს, ხოლო ნაომევს მათმა სისასტიკემ ყოველსავე ზღვარს გადააცილა. გვეჩივლნა? აბა ვისთან გვეჩივლნა? დედოფალი აქედან შორს იყო, ხოლო მისს მდივანბეგებს (პოლიციის მოხელენი) მებატონეების მხარე უჭირავსთ, მათგან ძალდატანების მეტი არაფერი გვახსოვს, თვითონ დედოფლის მოურავები ისე გაგულქვავდნენ და ისე უდიერათ იქცევიან, რომ მისმა საკუთარმა გლეხებმაც-კი გადასწყვიტეს არ დამორჩილდნენ და ხატზე დაიფიცეს – დედოფლის ჩამოსვლამდე ერთმანეთს მხარი დაუჭირონ და ერთიმეორეს არ უღალატონ. ჩვენც მათ მაგალითს მივბაძევით. გვეგონა ჩქარა დაბრუნდებოდა; მაგრამ გაიარა თვეებმა, ჩვენ იქით-აქეთ დავეხეტებოდით, ჩვენს ბატონებს ვემალებოდით, და როცა დევნა დაგვიწყეს და ძაღლებით ნადირობდნენ ჩვენზე, ერთად შევერთდით და ძალას ძალა დავუპირისპირდეთ. ამასობაში დადგა გაზაფხული, ყანები არ დათესილა, მებატონენი არ გვითმობდნენ და აღარც ჩვენ ვუთმობდით. ბოლოს, ზაფხულში დედოფალი ჩამოვიდა. მაგრამ რა გამოვიდა? არამც თუ მფარველობა გაგვიწია, ყურშიაც არ უნდა შეუშვას ჩვენი გაჭირვება. "ეგ როგორ გაჰბედევით, – გვიბრძანა დედოფალმა, – და ბატონებს ხელი ახელითო!" ჩვენი ხელისხლება კი ის გახლდათ, რომ ჩამოვართვით ხაჯალურები და დადიანურები, რომლითაც ისინი ზოგჯერ მთელის წლობითა გვტანჯავდნენ, და მათს სახლებიდან გამოვაყვანინეთ ჩვენი დები და ქალიშვილები, რომლებსაც მოახლეები ერქვათ და ნამდვილათ კი მათი ხასები იყვნენ, და ქრისტიანულის წესით გავათხოვეთ. მოხუცმა მართალი მოგახსენათ: შენ თვითონ რომ არ მოსულიყავი, ჩვენ თვითონ გეახლებოდით შენთან; მთელი ეს ხალხი მე მომყავდა და რამდენსამე დღეში ცხენიწყალს გაღმა ვიქნებოდით. ჩვენი სამშობლო შეგვზიზღდა, გადავწყვიტევით მოვშორდეთ აქაურობას სამუდამოთ და სადმე ჯანდაბას გადავიკარგნეთ... რაც უნდათ, ის გვიყონ, თუნდაც დაგვხვრიტონ ყველანი, მაგრამ ერთმანეთს შევფიცევით: არაფრის გულისათვის დავბრუნდეთ აქეთ. აი, ოხრად კი დარჩეს ისეთი სამშობლო, საცა თავიც კი ვერ შეგიფარებია სადმე, საცა შენზე ნადირობენ, გარეულ ნადირსავით დაგდევენ!.. დედოფალს ყოველივე ეს ესმოდა ჩვენგან და არ მოინდომა ჩვენთვის ეშველნა. იმას თავის დღეში არაფრით დავმუქრებივართ, ჩვენი არაფერი შიში უნდა ჰქონებოდა, არც ავაზაკები ვართ და აღარც მეამბოხენი, უბედურები ვართ, სამართალსა ვთხოულობთ, მეტს არაფერს. გვიწყალობე, გენერალო, ეს სამართალი, გვიყავი სიკეთე, თქვენი ყურმოჭრილი ყმები ვიქნებით, ყველაფერს გაგიგონებთ. მანამდე კი თქვენის ბედნიერის თვალებითა ნახევით... – აქ მიქავა გლეხებს მოუბრუნდა და მეგრულად რაღაც უთხრა. ერთ წუთში რამდენმამე კაცმა მოათრია მთელი გროვა მძიმე ჯაჭვებისა და ძირს დაჰყარა.

– აი, რითი გვაბამდნენ და გვაწამებდნენ.

გენერალმა უნებურად წარბები შეიჭმუხნა, როცა ეს საწამებელი იარაღი დაინახა.

– აბა რა უნდა გვექნა, – განაგრძო მიქავამ, – მოძალის წინააღმდეგ ძალა უნდა გვეხმარნა ფარად, თუ არა? ისე გამოტეხილად გეუბნები, როგორც ღმერთს. აი, თუნდაც გუშინ, იძულებულნი ვიყავით ასეთის საშუალებით გვეპასუხნა ერთ-ერთ აქაურ მემამულესათვის, – და აქ დაასახელა მისი გვარი. – შეუყრია თავისი თანამოგვარენი, მოულოდნელად დაეცა გლეხის ოჯახს და მოიტაცა იქიდან ქალი, რომელიც წინათ მასთან მოახლედ იყო და რომელიც ჩვენ იქიდან წამოვიყვანეთ და ჯვარი დავსწერევით; ეს ქალი სადღაც დამალეს, ამბობენ, აფხაზეთისკენ წაიყვანეს გასასყიდადო. ჩვენ ეს ძალადობა არ შევარჩინეთ და თვითონ მემამულე, გაბაწრული, ჩვენს ტყვედ არის, სანამ მოტაცებულ ქალს არ დაგვიბრუნებს...

ამ სიტყვებზე გენერალმა ენერგიულად გაიქნია მხრები და დაიყვირა:

– ახლავე აუშვით და აქ მოვიდეს.

მიქავა გაექანა ბრძანების აღსასრულებლად და რამდენიმე წამს უკან გენერლის წინაშე იდგა უიარაღო, მაღალი, მოყვანილი და ლამაზი ვაჟკაცი, თავადი პ.მ. სახეზე საშინელი შიში ეხატებოდა; ალბათ გაგონილი ექნებოდა, რომ კოლუბიაკინი ისეთი კაცი იყო, რომელთანაც ხუმრობა არ გაუვიდოდა.

გენერალმა ბრძანა დაუყოვნებლივ დაებრუნებინათ მისთვის თავისი იარაღი, მერე ახლოს მოიხმო და დაბალის ხმით, მაგრამ რიხიანად უთხრა:

– თქვენს მიერ წართმეული ქალი, გთხოვთ, ახლავე აქ მომგვაროთ; თუ აფხაზეთში გაყიდულია, იცოდეთ, ჩემს წინაშე პასუხს აგებთ. წადით და არ დაივიწყოთ, რომ მე ჩვეული არა ვარ ჩემის ბრძანების ასრულებას დიდხანს ვუცადო ხოლმე.

პ.მ-მ მდაბლად დაუკრა თავი და შურდულივით გაქანდა.

ამ დროს შარაგზის მახლობლად, რამდენიმე ცხენოსანი გამოჩნდა. ესენი იყვნენ ადგილობრივი მდივანბეგი და მებატონენი. გენერალმა ბრძანა დაეძახნათ მათთვის, და ისინიც აჩქარებით მოვიდნენ და მდაბლად სალამი ჰკადრეს გენერალს.

– მე თქვენი საქმე არაფელი მაქვს ასახსნელი თქვენთვის, ბატონებო! – უთხრა გენერალმა. – აქ თქვენმა დედოფალმა მომიწვია გლეხების აჯანყების ჩასაქრობად, და ჩავაქრობ კიდეცა; მაგრამ იცოდეთ კია, რომ ამიერიდან თქვენც სულ სხვაგვარად უნდა მოიქცეთ, ვიდრე აქამდე იქცეოდით. მთავრობა აღარ გაპატივებსთ უღმერთო საქციელს და გაიძულებსთ არ გადასცდეთ იმ ფარგლებს, რა ფარგლებსაც ადათი გიჩვენებსთ ხოლმე.

ეს რომ სთქვა, მიუბრუნდა მდივანბეგს და ჰკითხა – ამ ხალხში ხომ არ ურევია აქ დამსწრე მებატონეების გლეხებიო? და როცა მდივანბეგმა უპასუხა, დიახო, გენერალმა მიქავას უბრძანა – წინ წამოდგნენ ეს გლეხებიო.

– აი, თქვენი ბატონები, – უთხრა კოლუბიაკინმა ამ უკანასკნელთ (ას კაცამდე მოგროვდა), – ისევ იმათვე დაუბრუნდით და იგივე გააკეთეთ, რაც აქამდე გიკეთებიათ მათთვის. იცოდეთ, რომ კანონი უსამართლობისაგან დაგიფარავსთ. თუ დაგჩაგრესთ, მიდით თქვენის დედოფლის მიერ დაყენებულ მდივანბეგთან, თუ მდივანბეგმა დაგჩაგრათ, დედოფალს შესჩივლეთ მის უკანონო საქციელის შესახებ. გახსოვდესთ, რომ ყოველი ურჩობისათვის მძიმედ დაისჯებით.

– ახლა მობრძანდით ამ მებატონეებთან და გლეხებთან, – მიუბრუნდა ისევ მდივანბეგს კოლუბიაკინი, და თვალყური ადევნეთ, ყველა თავთავისას დაბინავდეს. რამდენიმე ყაზახრუსი გამოგყვებათ და საჭიროების დროს მოგეშველებიან. თქვენ, ბატონო მემამულეებო, გირჩევთ თქვენთან დაბრუნებულ გლეხებს ავად აღარ მოექცეთ, და ვითომ არც-კი ყოფილა თქვენს შორის უთანხმოება რამე. ახლა შურისძიების დრო არ არის, ეცადეთ, რაც შეიძლება, ტკბილათ მოეპყარით. მაშ წაბრძანდით!

ურიადნიკი და რამდენიმე ყაზახ-რუსი ამ ჯგუფს შეუერთდა. ჯგუფმა მდაბლათ დაუკრა თავი, იქიდან დაიძრა და თვალთაგან მიეფარა ყველას.

– ახლა ყველამ კარგათ დამიგდეთ ყური, – სთქვა ბოლოს გენერალმა. – თქვენი კრება ახლავე უნდა დაიშალოს. თქვენ-თქვენსა წადით და თქვენ-თქვენს ბატონებს პატივება სთხოვეთ; უთხარით, რომ მე გამოგგზავნეთ და რომ თვალყურს ვადევნებ თქვენს ურთიერთობას. შენ, მიქავა, გიბრძანებ აუხსნა ყველაფერი ეს გლეხებს და ჩააგონო, რომ რაც ახლა ვსთქვი, ყველაფერი დაუყოვნებლივ უნდა აასრულონ; გლეხები ერთმანეთისათვის მიცემულ ფიცისგან გამინთავისუფლებია, ახლა თითოეული მათგანი დამშვიდებულის სინიდისით დაბრუნდეს შინ და შეუდგეს თავის მოვალეობის ასრულებას.

ხალხი სწრაფად დაიშალა მინდორზე და თავ-თავიანთ ცოლ-შვილიანათ შინ წასასვლელად მზადებას შეუდგნენ.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ილორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გამოუქვეყნებელი ინტერვიუ ქართული ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელ, აწგანსვენებულ ბ-ნ ვასო (ვილგენ) ქადარიასთან

***ჩვენს თვალწინ ჩაიარა მთელმა ეროვნულმა მოძრაობამ, რომლის მონაწილე ჩვენც ვიყავით... რა არ გადგვხდენია თავს ამ გზაზე, რას არ მოვესწარით, მაგრამ, რაც დღეს საქართველოში ხდება, ვერავინ წარმოიდგენდა!..***

ზვიადი და მერაბი თითქმის მეოთხედი საუკუნე ამზადებდნენ ხალხს თავისუფლებისათვის. ეს იყო მოწამეობრივი შრომა შეურაცხყოფის, დამცირების, პატიმრობისა და ბოლოს სისხლის ფასად!.. მათ, ამ გზაზე ერთხელაც არ შეუცვლიათ გეზი. მეოთხედი საუკუნე უყურებდა ყოველ მათ ნაბიჯს ქართველი ერი და ამიტომაც დაიჯერა მათი, არა მარტო ქართველმა, უამრავი არაქართველიც იზიარებდა და განიცდიდა ქართული ეროვნული მოძრაობის წარმატებას თუ წარუმატებლობას. მე რამდენჯერმე ვიყავი ბოლო ერთი თვის მანძილზე თბილისში, სპეციალურად, საპროტესტო აქციის მხარდასაჭერად ჩასული. სხვა არაფერი საქმე არ მქონდა მე იქ!.. უნდა გამოგიტყდე, ნეტავ არ ჩავსულვიყავი, სასტიკად გულდაწყვეტილი წამოვედი უკან... შენი თუ არ იცი, სხვისი მაინც ხომ უნდა ისწავლო – წყლის წვეთებივით გვანან ერთმანეთს პოზიცია და ოპოზიცია. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, არც ერთს უნდა რაიმეს სწავლა და არც მეორეს!.. დღეს, როცა პრეზიდენტი აფხაზეთის და სამაჩაბლოს დაბრუნებაზე ლაპარაკობს და თუ მისი ჭკუით გვატყუებს, მაშინ იგი დასასჯელია, მაგრამ თუ კი მას აფხაზეთის და სამაჩაბლოს დაბრუნების მართლა სჯერა, მაშინ, მძიმედ ავადაა!.. რატომ ვამბობ ამას? ხომ გახსოვს ამ ზამთარს ოტობაიაში მომხდარი ამბავი, ორმოცდაათი ქართული ოჯახი რომ გამოაძევეს. იმის ნაცვლად, ეტირათ და ტრაგედიად ჩაეთვალათ იგი, ამ ხალხს გმირები უწოდეს და ლამის ჯილდოზე წარადგინეს იმის გამო, რომ საკუთარი სახლ-კარი დაატოვებინეს. ნათლად გამოჩნდა ამ მოქმედებით, რომ საქართველოს მთავრობას არ ესმის, თუ რას ნიშნავს დღევანდელ აფხაზეთში ქართული გენის არსებობა! ან იგი ხელოვნურად აქეზებს ქართულ მოსახლეობას წამოეგოს მტრის პროვოკაციებს და ამ გზით აფხაზეთიც დაცარიელდეს ქართველებისგან. ნორმალური ხელისუფლების ხელში, საქართველოს ბიუჯეტში გათვალისწინებული უნდა იყოს აფხაზეთში მცხოვრებ ქართველთათვის დახმარების ხარჯები. ჩვენთან რა ხდება? – ენგურს გაღმა მცხოვრები ქართველი ავად რომ გახდეს, იგი სოხუმში სამკურნალოდ ვერ ჩავა, ენგურს გამოღმა გადმოსასვლელად კი უამრავი ბარიერის გადალახვა და ფულის გადახდა უწევს. თბილისში ჩამოსულს, წინასწარ ფული თუ არ გადაიხადა, ძაღლად არ ჩააგდებს. არც ჩვენ ვართ მატერიალურად უკეთეს დღეში, მაგრამ, ჯერ-ჯერობით, საკუთარ სახლში მაინც ვცხოვრობთ... ეჰ, ჩემო დავით, 17 წლის წინ ვსაუბრობდით მე და შენ ორმოცდაათ მეტრიან კოლონაჩანგრეული ენგურის ხიდის ქვეშ, რომ დიდი შანსია აფხაზეთი სამეგრელოს სატირალი გახდესო და სამწუხაროდ ეს ცუდი სიზმარი აგვიცხადდა!..

***– ვილგენ, უნდა გამოგიტყდე და გითხრა, რომ სამეგრელო არა მარტო სახეშეცვლილი, ზნეობაშეცვლილადაც მეჩვენება. ჩვენი ხალხის წესი არასოდეს ყოფილა დაჩაგრულისთვის ზურგის შექცევა, იმის შიშით, რომ მას რომ გამოვესარჩლო, შეიძლება მეც დამსაჯონო!.. ანაზდად არქიფო სეთური და მისი ბანაკი მახსენდება ასინეთათი და ზებოთი, მხოლოდ ეს არის, ჯერჯერობით – პოლიქრონიონ, პოლიქრონიონ, პოლიქრონიოოონს! არ იძახიან...***

– მე კარგად ვხვდები შენ რისი თქმაც გინდა!.. წელან ვახსენე, თბილისში ვიყავი მეთქი რამდენჯერმე საპროტესტო აქციაზე და არ დამიმთავრებია. იცი რატომ დავბრუნდი სახლში იმედგაცრუებული? გეკითხები – როგორ მოგწონს შენ ერთმანეთის გვერდით მდგარი ამდენი ოდიოზური სახეების დანახვა, ამდენი ორპირის და ამდენი ქართული ეროვნული იდეის, გავბედავ და ვიტყვი – ქვეყნის მოღალატის ცქერა? თბილისმა შეიძლება მალევე დაივიწყა მათი უკეთური საქმეები და სახეები, მაგრამ რატომ გავიწყდებათ რომ სამეგრელო სხვა სინამდვილე და სხვა ტრადიციების კუთხეა, ვიდრე საქართველოს დედაქალაქი, სადაც ყველაფერი მისაღებია გარდა მეგრულისა. თბილისმა მალევე გამოიგლოვა სისხლნადინარი აფხაზეთი და სამეგრელო, აქ კი 16 წლის მერეც არ გაუხდიათ აფხაზეთის გამო ჩაცმული შავები!.. თბილისმა სამეგრელოში საყაჩაღოდ ჩამოსული და ყაჩაღობისას მოკლული (ქედს ვიხრი იმათ წინაშე, ვინაც მამულის დაცვას შეეწირა და ასეთები ბევრნი იყვნენ!), არაერთი მხედრიონელი გმირად გამოაცხადა და მათი სახელები ქუჩებს და სკვერებს დაარქვა!.. ვინმეს თუ ახსოვს საერთოდ – სასახელო მამულიშვილი, მხედრიონელების ხელით მოკლული გოჩა ჯიქია?!.. კი, მე წავიკითხე თქვენს გაზეთში სულის შემძვრელი წერილი, ამის შესახებ, მაგრამ ამას სხვა უნდა აკეთებდეს, ვინაც ხან პოზიციიდან ხან კიდევ ოპოზიციიდან რომ გვთხოვს თანადგომას! საერთოდ თუ ახსოვს ვინმეს ჯიხაშკარელი გვარდიელის ბეჟან მგალობლიშვილის გაუგონარი გმირობა, როცა იგი მგზავრებით სავსე ინგირის სადგურში შემთხვევით, იატაკზე დავარდნილ საკეტგახსნილ ხელყუმბარას დაუფიქრებლად გადაეფარა და ათობით ადამიანის სიცოცხლე იხსნა, თვითონ კი მას შეეწირა?!. როცა ეს ეხსომება დედაქალაქს, მაშინ ვიქნებით ჩვენ თანასწორ უფლებებში!.. დღევანდელ მთავრობაზე საუბარც არ ღირს... სამეგრელოში თბილისის ინიციატივის არავის სჯერა!.. რამდენჯერაც აჰყვა სამეგრელო თბილისის დაწყებულ აქციას იმდენჯერ წაიტეხა კისერი. ის კი არა, სააკაშვილის მოყვანაც სამეგრელოს დააბრალა თბილისმა (ეს ქარაფშუტა, გორში შეახტა თურმე წალენჯიხის ავტობუსს და ასე გაახვია პატიოსანი და მართალი ხალხი შარში, რომლებიც არასოდეს მოუკითხავს იმ დაწყევლილი დღის შემდეგ!), როცა პრეზიდენტმა იმედები გაუცრუა და მისი გადაგდება მოინდომა... სამეგრელო არ დაუჭერს მხარს ამ აქციას და იცი რატომ?

**1.** აქციაში უამრავი ადამიანი მონაწილეობს 18 წლის წინ სამეგრელოს რომ არბევდა და ძარცვავდა!

**2.** იშვიათი გამონაკლისის გარდა მათში არ ჩანს ეროვნული სული, რომელიც ჩვენ, ზვიადის და მერაბის ეროვნული მოძრაობის ძველ გვარდიას არ გამოგვეპარება!

**3. „აქციის ლიდერები"** თვითონვე არ არიან ჩამოყალიბებული რა უნდა გაკეთონ და ჩვენგან ითხოვენ რაღაც გაუგებარს!

**4.** ქვეყანას ანგრევს, თორემ სწორად იქცევა სააკაშვილი ამ უბედურებს (ოპოზიციას ვგულისხმობ!) რომ აგიჟებს – ხან შიშველი მასაჟისტი ქალით და ხანაც კიდევ ასიათასიანი საპროტესტო აქციების ფონზე, ხან სად, და ხან კიდევ სად, რომ დაგრიალებს!

**5.** და ყველაზე უმთავრესი – ეს აქცია ებრძვის შედეგს და არა მის გამომწვევ მიზეზს, რაც შევარდნაძესა და შევარდნაძიზმში უნდა ვეძებოთ და ზოგიერთ აქციის ლიდერში, რომლებიც ამ გზით მეორედ და მესამედ აპირებენ ხელისუფლებაში მოსვლას!.. ასეთ აქციას სამეგრელო მხარს არ დაუჭერს! უფრო მეტიც, თბილისში დაწყებული აქციისადმი უარის თქმა სამეგრელოში თავისებურ პროტესტად აღიქმება, სამეგრელოსადმი, ხშირ შემთხვევაში, აგდებული დამოკიდებულების გამო და მას ასე ახმოვანებენ – **თბილისმა დაამხო ეროვნული მთავრობა, თბილისმა ჩამოიყვანა საქართველოს დამაქცევარი შევარდნაძე, შევარდნაძემ და თბილისმა მოიყვანა სააკაშვილი და თუ იგი ახლა თქვენვე გიშავებთ ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთო!** რას იტყვი, არის ამაში ლოგიკა?!.

***– გეთანხმები, მაგრამ სააკაშვილი მარტო თბილისს კი არ უშავებს იგი საქართველოს, ჩვენს სამშობლოს ანგრევს!***

თქვენი ვერ გამიგია, ძალიან გთხოვთ ყველას, სამშობლოს სიყვარულს და მის დაცვას ჩვენ ნუ გვასწავლით!.. **სამეგრელო ჩვენი სამშობლო არ იყო, როცა თბილისიდან გამოგზავნილები ხიდებს გვიფეთქებდნენ, სახლებს გვიწვავდნენ და სიძეები მოვდივართ დედაქალაქიდან და დაგვხვდითო... სულში რომ გვაფურთხებდნენ?!.** მიტევებას ჩვენ ვერავინ გვასწავლის, მივუტევეთ კიდეც ყველას, მაგრამ დედაქალაქიდან მოგზავნილთა ჩადენილ ავკაცობას ვერ დავივიწყებთ, რადგან გუმანით ვგრძნობთ კიდევ ბევრი ცუდია მოსალოდნელი!.. სამაჩაბლოს მაგალითი გვათქმევინებს ამას, იქ დატრიალებული ცოდვის კალო არა მარტო ერთი პიროვნების, სააკაშვილის, არამედ მთელი ერის უღირსი საქციელის შედეგია!.. კიდევ ერთხელ უნდა შევახსენო თბილისს, რომ სამეგრელოს და აფხაზეთს (ჯერ-ჯერობით!) ღობეც კი არ გვყოფს ერთმანეთისგან და ავი ხმები ამბობენ სააკაშვილი და მისი მთავრობა იქითკენ ისწრაფვის, სამაჩაბლოსავით უნდა აქციოს აქაურობა, რომ ჩიტიც ვერ გადაფრინდეს მეორე მხარესო! დავით ბატონო – არაფერს გეუბნებათ გორის და კასპის მიდამოებში აშენებული პატარ-პატარა **„კონცლაგერები"?** არაფერს გეუბნებათ ის, რომ აფხაზეთიდან გადმორეკილებს სასწრაფოდ დაუკანონეს ყველა სახელმწიფო შენობა და ბინა სადაც ისინი ცხოვრობენ?!. ჩვენ ეს ძალიან გვაფიქრიანებს, რადგან სამეგრელო და აფხაზეთი ერთი ოჯახი ვართ, თბილისისთვის კი ორივე გერი შვილებია!.. და ასეთი დამოკიდებულების მერე კიდევ ჩვენ გვსაყვედურობენ – მხარს რატომ არ გვიჭერთო?! რაში ბატონებო, რაში დაგიჭიროთ მხარი, ბურჯანაძის თუ ნოღაიდელის პრეზიდენტად მოყვანაში? ხომ გითხარით თბილისის აქცია შედეგს ებრძვის და არა მის გამომწვევ მიზეზს! ასეთ საქმეში სამეგრელო მონაწილეობას არ მიიღებს. ეს არის მიზეზი და არა ის, სამეგრელოს სააკაშვილზე ან რომელიმე ჩინოვნიკზე ამოსდის მზე!.. თავშივე ვახსენე მე, ზვიადი და მერაბი მეოთხედი საუკუნე ამზადებდნენ ქვეყანას თავისუფლებისათვის, ზვიადს და მერაბს კი დიდი კონსტანტინე ზრდიდა და წვრთნიდა ქართულ გოლგოთაზე შესადგომად! შეხედეთ პოზიცია-ოპოზიციას, ვისი გაზრდილები არიან ისინი და ვისი სკოლა აქვთ გავლილი!!!

***– გეთანხმები, მაგრამ ასე თუ გაგრძელდა 25 წელიწადში ისე გაგვაქრობენ ჩვენგან და თავისუფალი საქართველოდან არაფერი დარჩება!***

ბატონო დავით, თქვენ რომ გისმენთ ისეთი შთაბეჭდილება მრჩება – თქვენც თავს ხომ არ იტყუებთ? რომელ საქართველოზე და მის თავისუფლებაზე მელაპარაკებით? სად არის საქართველოს თავისუფლება, როცა კაცი ვერ გაიგებს, პრეზიდენტიდან დაწყებული, პარლამენტით და მთავრობით დამთავრებული, ვინ ვისი აგენტია? აბა სხვას რას ნიშნავს პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის, პარლამენტის თავმჯდომარის და კიდევ უამრავის უზნეო სიხარული – **არაბები, ებრაელები, იორდანიელები, სპარსები, ოსმალო, მონღოლი მოდის და საქართველოს ყიდულობს, გიხაროდენო!!! ეს არის ქვეყნის თავისუფლება?!** როცა პრეზიდენტს და მთავრობას ჭირდება, რეალურად მოაზროვნე ოპონენტებს რუსეთის აგენტებად ნათლავენ, თვითონ კი ქვეყნის გამყიდველებად და მინისტრებად რუსეთის მოქალაქეები მოჰყავთ! **ეს არის ქვეყნის თავისუფლება?!** ხალხმა ცოტა მეტი იცის, ვიდრე სააკაშვილს და მის მთავრობას ჰგონია... აქ იმასაც ლაპარაკობენ სამაჩაბლოს ჩაბარების სანაცვლოდ სააკაშვილმა ოთხმილიარდნახევარი მიიღოო!.. იმასაც ამბობენ, ყველა დიდ საქმეში, რომელსაც დღეს საქართველოში დაიწყებ, ოცდახუთი პროცენტი მთავრობას უნდა გადაუხადოო. ოცდახუთი თუ არა – ათი პროცენტი მაინც რომ გადაუხადოს სააკაშვილმა ოპოზიციას, 450 მილიონია!.. საბრალო კიკუსი არ იყოს, ოპოზიციაში ისეთი სახეები ვიხილე თბილისში, ამ ფულად ისინი საპროტესტო აქციას კი არა, დედმამის საფლავსაც მიაყოლებენ ზედ!.. ეს საუბარი ერთი კვირით ადრე შედგა ვიდრე ვილგენს სასწრაფოს ექიმი უიმედო დიაგნოზს დაუსვამდა. თვითონაც მოისმინა იგი, ექიმს გადახედა, გაუღიმა და სახეზე შეაკვდა ის ღიმილი, რომელიც სამარადჟამო სასუფეველში გაიყოლია... თითქოს ამითი კიდევ ერთხელ დაგვამშვიდა

**– ჩემი ერთი კაცის იმქვეყნად წასვლა არაფერია, თქვენ ქვეყანას მიხედეთ, სამშობლო არ მოგვიკვდესო!..**

ახალაბასთუმანში ჩამოსულს ეს რომ მომიყვნენ, გული მომიკვდა – კინოკადრივით გაირბინა ჩემს თვალწინ 1989 წლის 15 ივლისიდან მოყოლებული, თბილისის პუტჩის ჩათვლით, ყველა უკეთურმა აქციამ, რომელსაც გონიერი თუ უგუნური – ქვეყნის დამაქცევარნი აწყობდნენ. მათგან ბევრნი დღესაც დგანან საპროტესტო აქციაზე... 1989 წლის 15 ივლისი ჩვენთვის პირველი გაცხადებული აგრესია იყო 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ, რომელიც ხალხმა მოიგერია. 20 წლის შემდეგ პირველად ვხვდები, თუ როგორ შევიძელით ამ შემოტევის მოგერიება – ჩვენმა მთავრობამ ვერ მოასწრო ამ საქმეში ჩარევა, თორემ აფხაზეთი დიდი ხნით ადრე იქნებოდა დაკარგული.

1989 წლის 15 ივლისის დილას სოფელში ამბავი მოიტანეს აფხაზები ხოცავენო ქართველებს. ქუდზე კაცი გამოვიდა და აფხაზეთისკენ დაიძრა. მახსოვს, ვილგენიმაც ძველ თოფს დაავლო ხელი და ჭიშკართან მომლოდინე მეზობლის ომარ თოდუას მანქანისკენ გავიქეცით. ვილგენის დედა, ვერა დეიდა გამოგვენთო სახლიდან – **თოფი სად მიგაქვთ, ადამიანი არ შემოგემარცხოთო!**

**20 წელი გავიდა მას შემდეგ. ადამიანის სიკვდილი ვის უკვირს დღეს, სიცოცხლე გაუფასურდა...**

**სიკვდილს მიგვაჩვიეს, რადგან სიკვდილის მომლოდინე ხალხი იოლი სამართავია!..**

**დავით ქობალია**



## გულბაათ (ბაჩუკი) კობახიძის მონატრება



### მშვიდობით, შვილო...

რა სწრაფად გარბის დრო – უკვე მეორმოცე დღე გალეულა იმ ავბედითი 10 მაისის შემდეგ, რაც შენ ჩვენს გვერდით აღარ ხარ! ვიცით, რომ ორმოცი დღის განმავლობაში გარდაცვლილი ადამიანის სული ჩვენ გვერდით ტრიალებს, დღეს კი სამარადჟამოდ უნდა დაგვტოვო რომ ჩვენს მეხსიერებას შემორჩე ღიმილის ბიჭად.

მართლაც ვაი, შვილო!

ეს ერთი იმედიღა გვქონდა, და ესეც მიინავლა...

მიუხედავად იმისა, რომ საოცრად ძლიერი და ჯანმაგარი ბიჭი იყავი, ამქვეყნიურ სიცოცხლეში, არავინ დაგიჩაგრავს, არავისათვის არაფერი წაგირთმევია, შენგან ნაწყენი ადამიანი დედამიწის ზურგზე არ დაიარება – მხოლოდ ჩვენ არ დაგვინდე და დაგვჩაგრე, ჩვენი ადგილი მიისაკუთრე იმქვეყნიურ საქართველოში, დაურიდებლად და უნანებლად გაგვშორდი. ვინმეს უნებლიედ თითი რომ გაჭროდა, იმაზე ფორიაქობდი – გული არ ეტკინოსო. შენ კი ყველას საშინელი გულისტკივილი დაგვიტოვე. ვერ აგვიხსნია და ალბათ ვერც ვერასდროს ავხსნით, თუ რით დავიმსახურეთ ასეთი საშინელი სასჯელი, შენი ოჯახის ყველა ახლობელს ერთადერთი შეკითხვა გვიბურღავს ტვინს:

– რატომ!!!

შემდეგ კი, მხოლოდ საკუთარი თავის დამამშვიდებელი პასუხით ვინუგეშებთ თავს:

– ალბათ იმიტომ, რომ უნაკლო ვაჟკაცი ადამიანები ღმერთსაც სჭირდება!

10 მაისის ჩვენთვის ავბედით დილას ომახიანად დაიძახე:

– გააჩერეთ დედამიწა, ჩავდივარო!

და ჩახვედი, სამუდამოდ...

უნუგეშოდ არიან შენი მშობლები, ბებია-ბაბუა, ძმები, ახლობლები, ცრემლი არ აშრებათ თვალზე, ვერასოდეს შეეგუებიან იმ აზრს, რომ ჩვენს შორის აღარა ხარ.

ალბათ ძალიან ვაწუხებთ შენს ვაჟკაცურ სულს გაუნელებელი სევდითა და ცრემლით, მაგრამ შენ ხომ ისეთი საწუხარი დაგვიტოვე, რასაც ცრემლით ვერასოდეს გავიქარვებთ...

მართლაც დიდი უბედურებაა, რომ შენზე ბევრად უფროსი ადამიანები დაგტირიან, მაშინ, როცა ეს პირიქით უნდა ყოფილიყო. ერთადერთ ნუგეშად ისღა დაგვრჩა, რომ მსახვრალი დრო კი არ გვაშორებს, არამედ უფრო გვაახლოებს შენთან!

მშვიდობით, შვილო!

ოჯახი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ედუარდ შევარდნაძე – ნიღბით და უნიღბოდ



***ჩვენ არ ვებრძვით პოლიტიკური არენიდან ვითომ წასულ, მიხრწნილ შევარდნაძეს, როგორც პიროვნებას! ჩვენ ვებრძვით "შევარდნაძიზმს", რომელმაც უამრავი უბედურება მოუტანა საქართველოს და დღეს უფრო მეტად მძლავრობს, ვიდრე მისი უკანასკნელი მმართველობის ჟამს. სხვა მრავალი უბედურება წინ გველის, თუ დროზე არ დავიხსნით თავს ამ მძიმე პოლიტიკური სენისაგან.***

**„მთები, მთები, ტევრი, ყანა, ზღვა,**
**საქართველო, ჩიტის გულის ხელა,**
**სალოცავი არ მქონია სხვა,**
**ენაცვალოს სალოცავი ყველა!"**

ამ სიტყვებით ეფერება და ესიყვარულება საყვარელ საქართველოს ნებისმიერი ქართველი შემოქმედი, რომელსაც თუნდაც ერთი სტრიქონის დაწერის უნარი და საშუალება გააჩნია. ოდითგან ამგვარი სითბოთი და ყურადღებით ეპყრობოდნენ ერთმანეთსა და სხვა ერის შვილებს ქართველები, ამ გრძნეულ სიტყვებს ეპიტაფიებად აწერდნენ საფლავის ქვებზე... არანაკლებ ადამიანურ სითბოსა და სიყვარულს ამჟღავნებენ საქართველოსადმი მისი უცხოელი სტუმრები და მეგობრები. ამიტომ, ძალზე ძნელია იმ ავადმობილი ადამიანების სულიერი შრეების გაშიფვრა, რომლებიც სიტყვითა და საქმით დაუღალავად ებრძვიან საქართველოს, მტრად და ავისმქმნელად მოიაზრებენ ამ მართლაც **"ჩიტისგულისხელა ქვეყანას"**. აშკარა მტრისაგან ყოველნაირ ვერაგობას უნდა მოელოდე ადამიანი, და ეს გასაგებიცაა, რადგან მტერი მტრობას არასოდეს მოიშლის. მაგრამ ჩვენთვის გაუგებარია საქართველოს წინააღმდეგ ამხედრებულ ზოგიერთ ვაიქართველთა მოქმედების მოტივი და მიზანი.

როგორც წერილთა ამ ციკლის შესავალში აღვნიშნეთ, მიმდინარე ეტაპზე საქართველოს ყავს სამი ფარული თუ ღია დაუძინებელი მტერი. ორი მათგანია მსოფლიო იმპერიალიზმი და სომხეთის ის აგრესიული წრეები, რომელთაც აშკარად არ აძლევს ხელს საქართველოს გამთლიანება. მაგრამ სამწუხაროდ, საქართველოს ჰყავს კიდევ ერთი, მესამე, ყველაზე დაუნდობელი და დაუძინებელი მტერი – **"სერიული მკვლელი"** და მოძალადე, ჭეშმარიტების უბადლო გამყალბებელი ედუარდ შევარდნაძე, რომელმაც, თავისი მოღვაწეობის განმავლობაში უფრო მეტი ზიანი მიაყენა საქართველოს, ვიდრე ერთად აღებულმა რომის, ბიზანტიის, არაბების, ხაზართა, მონღოლეთის, ოსმალეთის, სპარსეთისა და სომხეთის აგრესიულმა წრეებმა.

ახლა შევეცდებით გაგაცნოთ ამ ბნელით მოსილ პიროვნებაზე ის ინფორმაცია, რომლის თავმოყრაც ჩვენ მოვახერხეთ წინამდებარე ციკლზე მუშაობისას. თვითმხილველებთან, არქივებში და ბიბლიოთეკებში ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ ჩვენ დავრწმუნდით, რომ შევარდნაძის დანაშაულობათა დამადასტურებელი უამრავი ფაქტის მოძიება ვერ მოხერხდება, რადგან იგი ყოველთვის საიდუმლოების შესაშური დაცვით მოქმედებდა საქართველოსა და ქართველი ხალხის წინააღმდეგ.

მაგრამ როგორც იტყვიან, შუბი ხალთაში არ დაიმალება და ჩვენ მაინც, მისი მრავალი საძრახისი საქმის დამადასტურებელი მასალები მოვიპოვეთ.

შესანიშნავ რუსი მწერლები ილია ილფი და ევგენი პეტროვი, თავიანთ უკვდავ მაწარმოებში **"ოქროს კერპი"**, ამ სიტყვებით ახასიათებენ ავანტიურისა და თაღლითობის ნიჭით გამორჩეულ თავიანთ ერთ-ერთ გმირს: **"პანიკოვსკის შიშის ზარს სცემდა ერთად თავმოყრილი რამდენიმე წესიერი ადამიანის ხილვა"**. ვერ წარმოიდგენთ, თუ რაოდენ მიესადაგება ეს დახასიათება ედუარდ შევარდნაძეს, რომელსაც წარმოუდგენლად ეჯავრებოდა და ეშინოდა უმწიკვლო ადამიანების თავყრილობისა. ედუარდ შევარდნაძის გარშემო სხვებთან ერთად მუდამ ტრიალებდნენ თაღლითები, კომბინატორები, კარიერისტები ლოთები, კახპები, არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის მქონე პირები და შერყვნილი სულისკვეთებით გაჟღენთილი არსებები.

ამ ადამიანებთან მჭიდრო ურთიერთობა ედუარდ შევარდნაძეს ცხოვრების წესად ჰქონდა დამკვიდრებული მთელი მისი კარიერის განმავლობაში.

საქართველოს პირველი კანონიერი პრეზიდენტის, ყოველგვარი ეროვნულის მოძულე მასონთა შეკვეთით აღსრულებული საქვეყნოდ ცნობილი ეროვნული მოღვაწის, დიდი მეცნიერისა და უმწიკვლო პიროვნების ზვიად გამსახურდიას ნეშტის სამშობლოში გადმოსვენება, 2007 წლის 27 მარტს, სულიერად ისეთივე მძიმე მოვლენა გახლდათ საქართველოსა და ქართველებისათვის, როგორც მისი ტრაგიკული, დღემდე სიბნელით მოსილი მკვლელობა. თოთხმეტი წელი გავიდა მისი ტრაგიკულად დაღუპვის დღიდან, მაგრამ საქართველოს პირველ და ჯერჯერობით ერთადერთ კანონიერ პრეზიდენტს იოტისოდენად არ დაჰკლებია ხალხის სიყვარული და აღიარება, რაც დაადასტურა მისი დაკრძალვისას სამძიმარზე მოსულმა ათიათასობით დამწუხრებულმა ადამიანმა. შეიძლება ითქვას, რომ ზვიად გამსახურდიამ კიდევ ერთხელ შესძლო მთელი საქართველოს ერთ მუშტად შეკვრა და ერთმანეთს პრინციპულად დაპირისპირებული პოლიტიკური ძალების გაერთიანება. ადამიანთა სევდას ამძაფრებდა არა მხოლოდ სამშობლოსათვის თავდადებული უმწიკვლო ადამიანის დაკარგვა, არამედ იმის გააზრებაც, თუ რა დაჰკარგა საქართველომ ზვიად გამსახურდიას დაღუპვით. დაკარგვით კი მართლაც ბევრი რამ დავკარგეთ, მაგრამ დაკარგულის ნაცვლად შევიძინეთ საქართველოს **"მაოხარი გზირი"**, ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავასა და სხვა მრავალი ქართველი პატრიოტის მკვლელთა იდეალი, საკუთარი მიზნების განსახორციელებლად მუდამ მიზანსწრაფული და დაუნდობელი ადამიანი, ქართული ეროვნული სულისკვეთების მესაფლავე, საკუთარი სამშობლოს დამშლელ-დამანგრეველი, ხოლო სხვათა სამშობლოების გამაერთიანებელი (რა თქმა უნდა, გარკვეული ქრთამისა და ანგარებითი გარიგებების ფასად) მასონთა მსოფლიო ლოჟის წევრი და საერთაშორისო დონის დამნაშავე ედუარდ შევარდნაძე.

გერმანული ფაშიზმის მამამთავარი და საკმაოზე მეტად მკაცრი ადოლფ ჰიტლერი რომ ჰიტლერია, ისიც კი უყვარდათ თანამემამულეებს, მაგრამ შევარდნაძე არ უყვართ საქართველოში, და არც უნდა უყვარდეთ, რადგან მან სხვა უმძიმესი დანაშაულების ჩადენასთან ერთად გაყიდა აფხაზეთი და სამაჩაბლო, დაახვრეტინა ე.წ. **"თვითმფრინავის ბიჭები"** და სრულიად უდანაშაულო მღვდელი ჩიხლაძე, ასევე იმსხვერპლა მეოცე საუკუნის სამოციდაათიან წლებში თბილისის 26-კომისრის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე იუზა კობახიძე, შევარდნაძის ცენტრალური კომიტეტის მდივნობის ჟამს ფრიად საეჭვო ავტოავარიაში დაიღუპა საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზურაბ პატარიძე, რომელსაც მოსკოვში შევარდნაძის შემცვლელად მიიჩნევდნენ, შევარდნაძემ ციხეში ამოალპო საქართველოს ფინანსთა მინისტრი ფარნაოზ ანანიაშვილი და ყველა ის თანამდებობის პირი, რომელთაც გაბედეს და სიტყვა დაძრეს შევარდნაძის არაადამიანურ საქციელსა და თვითნებობაზე. ძალზე საეჭვოდ ფიგურირებს შევარდნაძის პიროვნებს თბილისის 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის საქმეში. ხოლო 1972 წლის შემდეგ, რაც შევარდნაძემ მისთვის ჩვეული მრავალსვლიანი ინსინუაციებით, ინტრიგებითა და მოსკოვში მის მიერ მოქრთამული სკკპ პოლიტბიუროს მაღალი თანამდებობის პირების ხელშეწყობით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნობიდან მოსკოვს მოახსნევინა უაღრესად პატიოსანი, გულთბილი პიროვნება და ქართველი ხალხის ჭეშმარიტი გულშემატკივარი, სამხედრო სკოლაგავლილი გენერალი ვასილ მჟავანაძე და ურცხვად დაიკავა მისი თანამდებობა, საქართველო გადააქცია მიწერებისა და სხვა სახის ეკონომიკური დანაშაულების პლაცდარმად, გაათახსირა და სულიერად გახრწნა მთელი საქართველოს მოსახლეობა. განა სწორედ ვასილ მჟავანაძის პირადი დამსახურება არ გახლავთ ის ამბავი, რომ დღეს საქართველოს დედაქალაქს გააჩნია მეტროპოლიტენი, დასავლეთ საქართველოში განთავსებული მთელ მსოფლიოში უნიკალურად აღიარებული **"ენგურჰესის"** ნაგებობა და სხვა უამრავი შენობა-ნაგებობა, რომელიც დღესაც პირნათლად ემსახურება ქვეყნის ეკონომიკის აღორძინების საქმეს?

მთელი თავისი პარტიული **"მოღვაწეობის"** მანძილზე შევარდნაძეს არაფერი ღირებული და დასახსომებელი არ შეუქმნია საქართველოსათვის. ერთადერთი, რაც მან გააკეთა, იყო კავკასიის ქედის გამჭოლი, სრულიად უსარგებლო როკის გვირაბი, მაგრამ, ის რაც უსარგებლო იყო ქართველებისათვის, მოგვიანებით უაღრესად სარგებლიანი გამოდგა ოსი სეპარატისტებისათვის, რომლებიც როკის გვირაბის წყალობით დღეს მსოფლიოს უმტკიცებენ, რომ ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთი ერთიანი სახელმწიფო იყოო.

საკმაოდ დამაფიქრებელია ის მონდომება, რითაც ედუარდ შევარდნაძემ როკის გვირაბი **"უბოძა"** ოს სეპარატისტებს და ამით საქართველოსაგან გამოყოფის იმპულსი მისცა მათ.

აი, რა **"აჩუქა"** შევარდნაძემ საქართველოს! თუმცა, ყოველივე ამის თაობაზე ქვემოთ დაწვრილებით მოვუთხრობთ მკითხველს ჩვენს ამ წიგნში.

მოგვიანებით, გორბაჩოვის ცნობილი **"პერესტროიკის"** პერიოდში გერმანიის გაერთიანებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესების წარმატებით განხორციელებისათვის შევარდნაძემ აიღო დიდი ოდენობით ფული და სხვა დანაშაულებრივი გზებით იშოვა ვეებერთელა თანხები, რითაც შეიძინა აქციები და სხვა უძრავ-მოძრავი ქონება გერმანიასა და ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოებში, სადაც ამჟამად დიდ ბიზნესს ეწევა ამ ქვეყნების მესვეურთა წაყრუებით თუ ხელშეწყობით. გერმანელებს იგი ლამის მესიად მიაჩნიათ, რადგან შევარდნაძემ უაპელაციოდ მიისაკუთრა გერმანიის გამაერთიანებლის სახელი. სინამდვილეში, გერმანიის გაერთიანებაში გადამწყვეტი როლი ითამაშეს საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნებმა მიხეილ გორბაჩოვმა და ალექსანდრე იაკოვლევმა, შევარდნაძეს კი, რომელიც ამ პიროვნებებთან შედარებით ყოველთვის მორჩილ კლერკად გამოიყურებოდა, არავინ ჰკითხავდა გერმანიის გაერთიანებას თუ სხვა მნიშვნელოვან პოლიტიკური საქმეების გადაწყვეტას. ხალხმა კარგად იცის იმის თაობაზე, რომ, როცა აღმოსავლეთ გერმანიდან საბჭოთა ჯარების გამოყვანის და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნების **"დაკარგვით"** განრისხებულმა საბჭოთა კავშირის კომპარტიის პოლიტბიუროს წევრებმა შევარდნაძის იზოლირება გადაწყვიტეს და ამ გადაწყვეტილების აღსრულება საბჭოთა კავშირის უშიშროების კომიტეტის მაშინდელ თავმჯდომარეს კრიუჩკოვს დაავალეს, მის დასაპატიმრებლად მისულ გენერალს შევარდნაძემ განუცხადა: **"ჩემდამი როგორ შეიძლება გაგაჩნდეთ რაიმე პრეტენზია, როცა აღმოსავლეთ ევროპა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა გორბაჩოვმა და იაკოვლევმა გაყიდესო!"**

შევარდნაძის ამ ფრაზის თაობაზე კარგად იცოდნენ რუსებმა და ქართველებმა, მაგრამ იგი დღესაც კი საიდუმლოდ რჩება ევროპელებისათვის. ამიტომ, როგორც გერმანიის, ასევე სხვა ქვეყნების მოქალაქეები გაოგნებულები დარჩნენ იმ ერთსულოვნებითა და მოწიწებით, რაც ქართველმა ერმა გამოავლინა საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიასადმი, რადგან ეს თავისთავად ნიშნავდა სიძულვილის გამოვლენას შევარდნაძის მიმართ, რომელმაც იარაღის ძალით დაამხობინა კრიმინალებს საქართველოს კანონიერი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება, ამავე ძალების დახმარებით სრულიად უკანონოდ დაეუფლა საქართველოს მართვის სადავეებს და თავისი უნიათობითა და მომხვეჭელობით, მოკლე პერიოდში, გაღატაკების ზღვარზე დააყენა და გაამათხოვრა ერთ დროს ეკონომიკურად და სულიერად ძლიერი ქვეყანა.

მან ხელისუფლებაში უკვე სახელმწიფოს მეთაურად მოსვლისთანავე ყველაფერი გააკეთა საიმისოდ, რომ ქვეყანა გაძარცვულიყო, გაღარიბებულიყო და გამათხოვრებულიყო, რადგან შემდეგ დამშეულ-დამცრობილი საქართველო იოლად დაემონებინა.

**რ.შალამბერიძე**

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**

## ციტატა-შეხსენება

აფხაზეთის პრობლემა ცალკე თემაა, ამ წერილში მისი განხილვა შეუძლებელია, მაგრამ მაინც მინდა აღვნიშნო, რომ ვერავითარ შედეგს, რომელიც ქართველი ხალხისთვის და ქართული სახელმწიფოებრიობისათვის მომგებიანი იქნება, ახლანდელი ხელისუფლება ვერ მიაღწევს. გაგრძელდება უკვე მრავალწლიანი პრაქტიკა, როცა პერიოდულად ინიშნება აფხაზეთში შესვლის სულ ახალი და ახალი "ზუსტი" თარიღი და რუსთაველზე ბუტაფორიული აღლუმების ჩატარება..."

"მე შუამავლის მეშვეობით ე. შევარდნაძეს გადავეცი წერილი აფხაზეთში შექმნილი სიტუაციის დეტალური ანალიზით, რადიკალური წრეების ნეიტრალიზაციისა და ქართული პოზიციების გამაგრების შესახებ კონკრეტული წინადადებებით, თანაც ეს წინადადებები შეთანხმებული იყო აფხაზური პოლიტიკური ელიტის პროქართულ ნაწილთან. როცა ამას არავითარი შედეგი არ მოჰყვა (გარდა ბაგრატ შინკუბას 75 წლის იუბილეს მილოცვისა), მე ვიგრძენი, რომ მზადდება სხვა, საშინელი ვარიანტები და მივწერე მოხსენებითი ბარათი, რომელშიც აღწერილი იყო ომის შესაძლო შედეგები, მათ შორის ის, რომ გარკვეული ძალების მიერ ომი მსოფლიოში წარმოდგენილი იქნება, როგორც მცირე ერის მიმართ აგრესია და საბოლოოდ ჩვენ ამ ომს წავაგებთ..."

(ალექსანდრე ჭაჭია, 1997 წლის ივნისი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი "ილორი" უძღვება რუბრიკას "მსოფლიო ჩემპიონატები ფეხბურთში", რომელიც ასახავს მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ბატალიებს.

# ა შ შ — 1994

მსოფლიოს რიგით მეთხუთმეტე ჩემპიონატი ჩატარდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. შესარჩევ ციკლში მონაწილეობა მიიღო მსოფლიოს 147-მა ქვეყანამ, რაც სარეკორდო მაჩვენებელი გახლდათ წინა ჩემპიონატებთან შედარებით. თუმცა, ფინალურ ეტაპზე მონაწილეობა არ მიუღიათ ინგლისელებს, ევროპის 1992 წლის ჩემპიონებს — დანიელებს, პორტუგალიელებს, ფრანგებს და იუგოსლაველებს, რომელთაც, მართალია ფინალის საგზური მოიპოვეს, მაგრამ ამერიკაში ვერ გაემგზავრნენ, რადგან იქ მაშინ ომი მძვინვარებდა.

ფინალურ ეტაპზე მოხვედრილი 24 გუნდი 6 ქვეჯგუფად გადანაწილდა, საიდანაც პირველ და მეორე ადგილებზე გასულები გადიოდნენ მერვედფინალში და მათ ემატებოდათ ოთხი საუკეთესო მაჩვენებლის მქონე მესამეადგილოსნები.

ფინალურ ტურნირში მონაწილეობის უფლება ავტომატურად მოიპოვეს გერმანიის (როგორც მსოფლიო ჩემპიონმა) და აშშ-ს (როგორც ჩემპიონატის მასპინძელი ქვეყანა) საფეხბურთო ნაკრებებმა. ჩემპიონატის სტარტის წინ დაიწყო დიდი სკანდალი რუსეთის ნაკრებში, რაც გამოწვეული იყო რიგი ფეხბურთელებისა და მწვრთნელ სადირინს შორის მომხდარი დაპირისპირებით. მოგვიანებით რამდენიმე რუსმა ნიჭიერმა ფეხბურთელმა ნაკრები დატოვა, რამაც უდავოდ იქონია უარყოფითი გავლენა ამ ძლიერი გუნდის შედეგებზე. მეორე ქვეჯგუფში მოასპარეზე რუსებმა პირველი მატჩი დათმეს ბრაზილიელებთან ანგარიშით 2:0, მომდევნო მატჩში კი 3:1 წააგეს შვედებთან. მართალია, მესამე მატჩში რუსებმა **"გაანადგურეს"** კამერუნელები ანგარიშით 6:1, სადაც სალენკომ ხუთი გოლი გაიტანა, მაგრამ რუსებმა ერთი გამარჯვებით მაინც ვერ მოახერხეს მერვედფინალის საგზურის მოპოვება. ამ ჯგუფიდან შემდეგ ტურში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს ბრაზილიისა და შვედეთის ნაკრებებმა. დანარჩენ ჯგუფებში მოულოდნელობები არ ყოფილა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ კოლუმბიელი ფეხბურთელი ანდრეს ესკობარი, რომელმაც შემთხვევით ავტოგოლი გაიტანა აშშ-ს ნაკრებთან მატჩში, სამშობლოში დაბრუნებისთანავე მხეცურად მოკლა ლუდის ბარში ვიღაც კოლუმბიელმა ნაძირალამ. პირველ ქვეჯგუფში მერვედფინალის საგზური მოიპოვეს რუმინეთმა, შვეიცარიამ და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა. მესამე ქვეჯგუფში — გერმანიამ და ესპანეთმა, მეოთხე ქვეჯგუფში — ნიგერიამ, ბულგარეთმა და არგენტინამ, მეხუთე ქვეჯგუფში — მექსიკამ, ირლანდიამ და იტალიამ, ხოლო მეექვსე ჯგუფიდან ჰოლანდიამ, საუდის არაბეთმა და ბელგიამ.



მერვედფინალურ დაპირისპირებაში გერმანელებმა რუდი ფიოლერის მიერ გატანილი ორი გოლისა და კლინსმანის ერთი გოლის წყალობით დაამარცხეს ბელგიელები ანგარიშით 3:2, ესპანელებმა სძლიეს შვეიცარიელებს (3:0), შვედებმა კი საუდის არაბეთის გუნდი დაამარცხეს ანგარიშით 3:1. ჰოლანდიელებმა უჩვეულოდ იოლად — ანგარიშით 2:0 მოუგეს ირლანდიელებს, ბულგარელთა და მექსიკელთა დაპირისპირებაში კი პირველებმა იმარჯვეს პენალტების სერიაში (3:1), რაც შეეხება ბრაზილიელებს, მათ ჩემპიონატის მასპინძელი ამერიკელები 1:0 დაამარცხეს. დაძაბულ ორთაბრძოლაში იტალიელებმა მხოლოდ დამატებით დროში მოახერხეს ნიგერიელთა დამარცხება ანგარიშით 2:1.

უაღრესად დაძაბულად ჩატარდა მეოთხედფინალის მატჩები. იტალიელებმა ძლივს მოუგეს ესპანელებს (2:1), ბრაზილიელებმა ჰოლანდიელები დაჯაბნეს (3:2), შვედებმა პენალტების სერიით 5:4 მოუგეს რუმინელებს, ბულგარელებმა კი იმდენად იყოჩაღეს, რომ გერმანელები დაამარცხეს ანგარიშით 2:1.

ნახევარფინალში იტალიელებმა ბულგარელები გამოთიშეს ტურნირს (2:1), სადაც ორივე გოლი რობერტო ბაჯომ გაიტანა. ბრაზილიელებმა ანგარიშით 1:0 დაამარცხეს შვედები. ბრინჯაოს მედლები შვედებმა მოიპოვეს, რომელთაც 4:0 მოუგეს ბულგარელებს.

ფინალური მატჩი ჩატარდა ქალაქ ლოს-ანჟელესში, სადაც ერთმანეთს დაუპირისპირდნენ იტალიელები და ბრაზილიელები. მატჩის ძირითადი და დამატებითი დრო ფრედ 0:0 დამთავრდა, პენალების სერიაში კი ბრაზილიელებმა იყოჩაღეს, გაიმარჯვეს ანგარიშით 3:2, 1970 წლიდან 24 წლის შემდეგ, მსოფლიო თასი მეოთხედ მოიპოვეს და "ტეტრაკამპეონები" გახდნენ.

გიორგი ჯალაღანია

**ფინალი**

ბრაზილია — იტალია 0:0 (პენალტებით 3:2)

17.07. 1994წ. ლოს-ანჟელესი, "როუზ ბოულის" სტადიონი.

94.194 მაყურებელი.

**მსაჯები:** შ. პული (უნგრეთი), ვ. სარატე (პარაგვაი), მ. ფანაი (ირანი).

**ბრაზილია:** ტაფარელი, ჟორჟინიო (კაფუ 22), ალდაირი, მარსიო სანტოსი, ბრანკო, მაურო, სილვა, დუნგა (კაპიტანი), ზინიო (ვიოლა 106), მაზინიო, ბებეტო, რომარიო.

**იტალია:** პალიუკა, მუსი (აპოლონი 55), ბარეზი (კაპიტანი), მალდინი, ბენარივო, ალბერტინი, დონადონი, დ. ბაჯო (ევანი 95), ბერტი, რ. ბაჯო, მასარი.

**ბომბარდირები**

ოლეგ სალენკო (რუსეთი) — 6 ბურთი;
ხრისტო სტოიჩკოვი (ბულგარეთი) — 6 ბურთი;
რობერტო ბაჯო (იტალია) — 5 ბურთი;
რომარიო (ბრაზილია) — 5 ბურთი;
კლინსმანი (გერმანია — 5 ბურთი);
ანდერსონი (შვედეთი) — 5 ბურთი.

**ჩემპიონატის სიმბოლური ნაკრები**

პრიუდომი (ბელგია,) ჟორჟინიო, მარსიო სანტოსი (ორივე ბრაზილია), მალდინი (იტალია), ბროლინი (შვედეთი), დუნგა (ბრაზილია), ჰაჯი (რუმინეთი), ბალაკოვი (ბულგარეთი), რობერტო ბაჯო (იტალია), სტოიჩკოვი (ბულგარეთი), რომარიო (ბრაზილია).

## იუმორი

ქალი ბრუნდება ბაზრიდან ხელჩანთებით დატვირთული. სადარბაზოში რომ შევიდა, წინ ერთიანად შიშველი სექსუალური მანიაკი აესვეტა. ქალმა შეხედა და იყვირა:

— ტიიტუუუ! კვერცხების ყიდვა დამავიწყდა!!!

* * *

თანამშრომელი ქალი მიდის დირექტორთან და უცხადებს:

— მე თქვენგან ხელფასის მომატებას ველოდები!

— გასაგებია. კიდევ რას ელოდებით ჩემგან?

— ბავშვს!

* * *

სუფრასთან თამადა დავით აღმაშენებელს ადღეგრძელებს. ამ დროს სომეხმა ცხვირი დააცემინა.

— დავით აღმაშენებლის მოსვლამდე არაფერი გეტკინოს! — ეუბნება გვერდზე მჯდომი თანამეინახე.

— ეჰ, დავით აღმაშენებელი მოვიდოდეს და ამის ოხერი დედა არ ვატირე?! — ოხვრით ამბობს თამადა.

* * *

მოხუცი აფთიაქში შედის და პროვიზორ გოგონას ეუბნება:

— შვილი, ერთი "ვიაგრა" მომეცი!

— ბაბუ, ისეთ "ვიაგრას" მოგცემ, რომ ათ ქალს დააკმაყოფილებ! — ეშმაკური ღიმილით ეუბნება პროვიზორი.

— რა ქალი, რის ქალი! ისეთი "ვიაგრა" მომეცი, ტუალეტში რომ შევალ, ფეხებზე რომ არ დავიშარდო!

## სიზმრების ახსნა დანიელ წინასწარმეტყველის მიერ

გაგრძელებთ ნაწყვეტების ბეჭდვას "ეფრემ ვერდის" წიგნის იმ მონაკვეთიდან, სადაც შეკრებილია სიზმრების ახსნა დანიელ წინასწარმეტყველის მიერ.

**ბებერი ნახო ვინმე** — კარგია და ჯანსაღობაც მოგცეს;
**ბეჭედი** — სიხარულსა და მალე ქორწინებას ნიშნავს;
**ბეჭედი თვალებით მოჭედილი** — დიდი სარგებლობის ნიშანია;
**ბეჭედი გატეხილი** — ცუდ და საზიანო ამბავს მოასწავებს;
**ბუზის ნახვა** — ცუდია, ვისმეს უთუოდ მოიმდურებ და მტრობა ჩავარდეს;
**ბუხარი ნახო** — სიმდიდრისა და ფართო ოჯახისა, ანუ წარმატების ნიშანია;
**ბრმა თუ ნახო** — ავადმყოფობას გამოივლი;
**ბრმა სხვა ნახო** — ახალ რაიმეს ნიშნავს;
**ბოლოკის ჭამა** — ცუდია, მტრობის ნიშანია;
**ბნელ ადგილას ჯდომა** — მეტისმეტი სიცუდისა და სიბილწის ნიშანია;
**ბროწეული** — სიხარულია და გაბედნიერება ოჯახობისა და ნათესავისა;
**ბუკის ნახვა** — ცუდი და უბედური ამბავის ნიშანია.

## დღეს 72 წელი შემისრულდა, ვაი ამისთანა სიცოცხლეს

*„კარგი რამ გჭირდეს, გიკვირდეს,*
*ავი რა საკვირველია?!.“*

2009 წლის 14 აგვისტო!..

17 წელი გავიდა იმ ავადსახსენებელი დღიდან, რაც შევარდნაძისა და იოსელიანის **„ვაჟკაცებმა“** დაიწყეს აფხაზეთის აოხრება. მანამდე ხუთჯერ თუ ექვსჯერ მოახდინეს სამეგრელოს უსასტიკესი ეგზეკუცია. რაც მოხდა მაშინ სამეგრელოში, ყველამ კარგად უწყის. სამეგრელო რომ მოიბალახეს, აფხაზეთში გადავიდნენ. ბევრი ჭეშმარიტი ქართველი, აფხაზი და სხვა ეროვნების ახალგაზრდა (არა მარტო ახალგაზრდა) შეეწირა იმ სიბინძურეს, რასაც აფხაზეთის ომი შეარქვეს. ზოგის ცხედარი მიიღო ჭირისუფალმა, ზოგისა კი, უფალმა უწყის, გმირები სად განისვენებენ.

თბილისში, გმირთა მოედანზე, მათი ხსოვნის უკვდავსაყოფად შეიქმნა შესანიშნავი მემორიალი. პატივს მიაგებენ დაღუპულთა ხსოვნას. მაგრამ ვაი, რომ ეს ყველაფერი მოჩვენებითი გამოდგა. ხელისუფლებამ დაღუპულთა ოჯახები აბუჩად აიგდო.

ის მწირი დახმარებები, რაც ეძლეოდათ, სრულად მოუხსნეს (თვითონ წამდაუწუმ იმატებენ ხელფასებსა და პენსიებს). მიზეზად ბიუჯეტის სიმწირეს ასახელებენ. ყოველივე ამას ისე უტიფრად აკეთებენ, რომ შუბლის ძარღვიც არ უტოკდებათ!

ამასწინათ გამახსენდა დიდი კონსტანტინეს **„მთვარის მოტაცების“** გმირი, გაუბედურებული მამა — ტარიელ შერვაშიძე. რატომ? — ჩვენც ხომ შვილმკვდარი მშობლები ვართ! როგორ წყევლის იგი თარაშ ემხვარს... მომყავს ამონარიდი აღნიშნული ნაწარმოებიდან (მცირედი დამატებებით):

„დიდხანს ლოცულობდა მიცვალებულის საწოლთან დამხობილი მამა. და როცა სინათლე შემოიჭრა ფანჯრიდან, წამოდგა, მაღლა აღაპყრო ხელნი და ქართლის კათოლიკოსის მიერ დაწყევლილი ვარდან ჰემხვარის უკანასკნელი ნაშიერი, რვა საუკუნის შემდეგ ასოცდამერვე ფსალმუნის ლექსით შეაჩვენა გაბურძგვნილმა, ნახევრად შეშლილმა ხუცესმა **"...დაადგინე ცოდვული მასზედა (მათზედა) და ეშმაკი დადევინ-მარჯვენით მისდა (მათდა). იყვნენ დღენი მისნი (მათნი) მცირე, და გასაგებელი მისი (მათი) სხვამან მიიღონ. იყვნენ შვილნი მისი (მათი) ობოლი და ცოლი მისი (მათი) ქვრივ. აღირძნედ და გარდაიცვალედ შვილნი მისნი (მათნი), პურისმთხოველ იქმნედ და გახდედ იგინი სამკვიდრებლისაგან მისისა (მათისა). იყუვნენ ნაშიერნი მისნი (მათნი) მისარეველ ერსა შორის და ნათესავისაგან აღირაცხონ სახელი მისი (მათი), და მოისპონ ქვეყნით სახსენებელი მათი. ...ეყავ მას (მათ) წყევა — ვითარცა სამოსელი, რომელ შთაიცვას და ვითარცა სარტყმელი, რომელ შეირტყას წელთა მისთა (მათთა). კრულიმცა არს ძილი და ღვიძილი მისი (მათი), საფლავი და სახსენებელი თარაშ ემხვარისა (საქართველოსი და ყველა ქართველის გამაუბედურებლების) და სატანას გაუხსნელითამცა საკვირველითა შეიკვრის ტომით, ნათესავით და სახსენებელით მისითურთ (მათითურთ)".**

უფალო, უმორჩილესად გთხოვ პატიებას ამ მარხვის დღეებში ჩემ მიერ თქმული სიტყვებისათვის, რამეთუ მე, ჩვეულებრივმა მოკვდავმა, ვეღარ გავუძელი ცხოვრების ამ ყოველდღიურ დავიდარაბას. მეც ხომ ორი დაღუპული მებრძოლის მამა ვარ! მეც ხომ სხვასავით გამწარებული სიბერე მერგო.

უფალო, შენ მიაგე ყველას თავისი წილი მისაგებელი ჩვენი ამ დღეში ჩაყრისათვის!

უღრმესი პატივისცემით,
**ანზორი დანელია**

**P.S.** დღეს 72 წელი შემისრულდა. ვაი ამისთანა სიცოცხლეს.

გაზეთში გამოქვეყნებული პუბლიკაციის ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართია: თბილისი, ტაბიძის ქუჩა №23

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
მთ. რედაქტორის მოადგილე: დავით ქობალია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი

anaklia@.web.de
e-mail:elisabetthal@.yahoo.de

რეკლამის განთავსება
899-57-33-22
384-197